განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მეორე სტადია

ინიციატორი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. N141.
მიმწოდებელი: შპს „როგანტინი რეალ ესტეიტ“ (ს/ნ 445664843), მის: ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N1, სართული 13, ბინა N147.

დაინტერესებული პირები:
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;

საფუძველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 22 მარტის №ბ114.1142308110 ბრძანება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ. 20.48.09.169; ს.კ. 20.48.09.571; და ს.კ. 20.48.09.388) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის
პროექტი

დოკუმენტის შემდგენელი პირები:

ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი

გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი

ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი

ტარიელ ტუსკია -ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის დოქტორი

ვაჟა წიკლაური - ტოპოგრაფი

მაია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი

სულხან მამუჭაძე - არქიტექტორი, იურისტი

ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი

ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი

სერგო ჭყონია - ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა დიპლომირებული სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი

ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, წავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

1. **გრაფიკული ნაწილი** 5
1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა 6
2. **ტექსტური ნაწილი** 7
2.1. შემოკლებათა ახსნა 7
2.2. ტერმინთა განმარტება 8
2.3. შესავალი 10
2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება 11
2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი 49
2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი 51
2.7. ინიციატივის გადაწყვეტილება, საკადასტრო მონაცემები და მიმწოდებლის რეკვიზიტები 59
2.8. სამართლებრივი საფუძვლები 62
2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია 62
2.10. გამოყენებული დოკუმენტები 64
3. **დანართები** 65

1. გრაფიკული ნაწილი

1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა

ფუნქციური ზონა | **ფუნქციურ ქვეზონა**

საცხოვრებელი ზონა - სზ | სპეციალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა -სზ-3

უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობები:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
ბ) სპეციალ ინტენსივობის მრავალფენიანი საცხოვრებელი სახლი;
გ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
დ) სასადილო სახლისაგან მკურნალობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორსაფრე; და სათბური);
ე) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის დასახლებას;
ვ) საოჯახიელი და სასვლელ აღრმავის ფუნქციონალება;
ზ) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს საცხოვრებლიდან თანმხლ პირობებს;
თ) ოჯახიერი/საკელტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის და სასპორტო ობიექტი;
ი) საგოგაბრივები მომსახურების ობიექტი;
კ) სასტენონი;
ლ) ინდივიდუალური სამკურნალო და ტუმბოული ფარმაცევტული ნაგებობა;
მ) ადმინისტრაციული ობიექტი;
ნ) ოფისი;
ო) ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.
საგანმანათლებლო ნებადა შეიძლება ამავე დასაშვები იყოს:
ა) მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს საცხოზრიანი თანმხლ პირობებს;
ბ) საავტო ფენერი;
გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

განაშენიანების ძირითადი პარამეტრები და ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობები;

გეგმარებითი ერთეულის ბიმარი განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია:

განაშენიანების კოეფიციენტი	კ1 -0,5
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი	კ2 -1,8
გამწვანების კოეფიციენტი	კ3 -0,3

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება. მუნიციპალიცია მოკმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განაშენიანების სიმაღლე - ღია

განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები გეგულირებელი საკადასტრო საზღვარზე განაშენიანის საკადასტრო (ლურჯი ხაზები) ხაზი კომპლიმენტარი გადაწყვეტის სირთულიდან გამომდინარე და ინფორმაციის ნაკლებობიდან ეფუძნებოდა. ეფუძნებოდა. ეფუძნებოდა.

2. ტექსტური ნაწილი

1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

1) ქობულეთი – ქობულეთი მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ. 20.48.09.1000 (წინა ს.კ. 20.48.05.051; 20.48.05.052; 20.48.05.351; 20.48.09.169; 20.48.09.388; 20.48.09.571) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
9) დსს – კოდექსის მე-*14* მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი <u>დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა</u>“;
10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ);
13) მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
15) საკრებულო – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
17) სამსახური – მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;
18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გასწვრივ;
19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

(1) აეროფოტო — საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
(2) განაშენიანების ესკიზი — ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;
(3) დენდროლოგია — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
(4) დრონი — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
(5) ესთეტიკური პარამეტრები — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
(6) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;
(7) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);

(8) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;

(9) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;

(10) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;

(11) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(12) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;

(13) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;

(14) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი $კ^1/კ^2$ ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.

(15) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;

(16) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(17) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი

განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო <u>დოკუმენტი</u>, რომელიც მზადდება <u>ციფრული</u> (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან <u>ბეჭდური</u> (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;

(18) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;

(19) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;

(20) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;

(21) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;

(22) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/შ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;

(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;

(24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(25) უფლებრივი გარემო — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;

(26) ფიზიკური გარემო — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;

(27) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;

(28) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით,კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

(29) ქვედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ხელშეკრულების ან წინამდებარე დავალების ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება კოდექსის, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

2.3. შესავალი

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობის გეგმებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი წარმოდგენილია გრაფიკული და ტექსტური ფორმით. გდგ-ს, როგორც ქვედა ტაქსონომიური დონის გეგმისათვის, გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე.

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულია „„ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ. 20.48.09.169; ს.კ. 20.48.09.571; და ს.კ. 20.48.09.388) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 22 მარტის №ბ114.1142308110 ბრძანების საფუძველზე.

განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტს. განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა ნებადართულია ამ გეგმის შესაბამისად. განაშენიანების დეტალური გეგმა არის მშენებლობის ნებართვის გაცემის ძირითადი საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ გდგ-ს სისტემური რევიზიისას დღის წესრიგში დადგა განვითარების ხედვის ცვლილების საკითხი, აუცილებელია ახალი გდგ-ს შემუშავება. განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს შესაბამის ინიციატორს, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან სხვა ნებისმიერ პირს, შესაბამისი დასაბუთების წარდგენის საფუძველზე. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.
განაშენიანების დეტალური გეგმა შედგენილია შემდეგი ასპექტების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობი;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.

2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება

I. დაგეგმვის ობიექტი და გდგ-ს შემუშავების წინაპირობები

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ. 20.48.09.1000 (წინა ს.კ. 20.48.05.051; 20.48.05.052; 20.48.05.351; 20.48.09.169; 20.48.09.388; 20.48.09.571) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, მათ შორის მრავალბინიანი საცხოვრებელი და სასტუმრო შენობების, ინდივიდუალური კოტეჯების, ეწ. ვილების, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, გამწვანების ადგილების და ავტოსადგომების მოწყობა.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს - სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებულ პირთა, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა (იხ.დანართი).

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი.

2. დაგეგმვის საჭიროება, ინიციატივა, მიზნები და პრინციპები

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით:
„2. განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება სავალდებულოა, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მაინც:
<u>ა) მიწის ნაკვეთებისათვის ძირითადი დებულებებით განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეგლამენტების დადგენა.</u>
ბ) ხორციელდება უშენი ტერიტორიის განაშენიანება;
გ) კოდექსის 67-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (მათ შორის, ინფრასტრუქტურული მოწყობის, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსის და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლების ცვლილებას);
დ) გენერალური გეგმით/განაშენიანების გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში.
3. ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების ინიცირებაზე უფლებამოსილი ორგანოებია:
ა) გენერალური გეგმის ან/და განაშენიანების გეგმის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ;
ბ) განაშენიანების დეტალური გეგმის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანო, საკუთარი ან/და ნებისმიერი დაინტერესებულ პირის ინიციატივის საფუძველზე.“

ვინაიდან გეგმარებითი ერთეული - საპროექტო ტერიტორია არ არის განაშენიანებული, ასევე არ არის განაშენიანებული მისი პერიმეტრის 50-მეტრიან რადიუსში მდებარე მიწის ნაკვეთები. აღნიშნულიდან გამომდინარე „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-თ განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეგლამენტების დადგენა, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზნით დაინტერესებული პირის მიერ ინიცირებულ იქნა გეგმის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 22 მარტს გამოცემულ იქნა №ბ114.1142308110 ბრძანება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ. 20.48.09.169; ს.კ. 20.48.09.571; და ს.კ. 20.48.09.388) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავდა გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი კომპლექსის განთავსებისათვის განაშენიანების დეტალური გეგმით ფუნქციური ზონის/ქვეზონის, განაშენიანების პარამეტრების და პირობების განსაზღვრა, მოიცავს როგორც დასაბუთებას, ეფექტიანობის შეფასებას, ასევე გრაფიკულ ნაწილს, განაშენიანების ესკიზის ჩათვლით. განაშენიანების დეტალური გეგმის რუკაში გეგმარებითი ერთეულის მიმართ განსაზღვრულია როგორც განაშენიანების პარამეტრები, ასევე ესთეტიკური პარამეტრები, გამწვანების და სხვა პირობები.

დაგეგმვის მიზნებია:
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- ტერიტორიის განახლება და განვითარება;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

ქალაქმშენებლობითი გეგმის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას. ეს პრინციპებია:

- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;
- ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის შესაბამისი წინაპირობების შექმნა;
- მიწის რაციონალური გამოყენების პრინციპი;
- განაშენიანებული მიწის ნაკვეთების განახლება და ზომიერი ინტენსიფიკაცია;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- მომსახურებისა და სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება.

3. გეგმარებითი ერთეულის აღწერა

3.1. გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი და საზღვრები

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 დანართის - გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის (სარეკომენდაციო) მე-9 პუნქტის გათვალისწინებით გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 14247,00 კვ.მ-ს, პერიმეტრი შეადგენს - 1130 მ-ს. გეგმარებითი ერთეული მოიცავს 1 მიწის ნაკვეთს და განთავსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, რომლის ფართობი 712 კვ.კმ.




დაბა ჩაქვი
ბუჯნარი
ქვედა ულიანოვკა
სახალვაშო
ზეგმარეგბითი ერთეული
ზეგმარეგბითი ერთეული ქ. ბათუმის
ადმინისტრაციულ საზღვრებში

3.2. ორთოფოტოფიქსაცია

3.3. გეომორფოლოგია

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს დენუდაციური ტიპის გორაკ-ბორცვიან რელიეფს და ძირითადად აგებულია დელუვიური თიხოვანი გენეზისის გრუნტებით. შუა ეოცენის (ჭიდილის) წყება P^2_2CO ვულკანოგენური ქანებით, ძირითადი კლდოვანი გრუნტებით. კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია იმყოფება საშუალოდ თბილ და ტენიანი კლიმატის ზონაში, საკმაო რაოდენობის ნალექებით წლის ყოველ სეზონში. ტერიტორია ცხელი ზაფხულით ხასიათდება. მცენარეთა ვეგეტაცია არ ჩერდება ზამთარშიც. ტერიტორია ხასიათდება კარგად გამოხატული ქარებით ზღვიდან მთელი წლის განმავლობაში და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულში და შემოდგომაზე. უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით წყლის შემოდენა დაფიქსირდა 1 ჭაბურღილში 6 მ. სიღრმეზე.

გეოლოგიური ჭრილებიდან და ჭაბურღილის სვეტებიდან ჩანს, სამშენებლო უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ დელუვიური გენეზისის თიხოვანი და კლდოვანი გრუნტები.

ფენა 2- თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის, სიმძლავრე 6.7-13.2 მ-ის ფარგლებშია და გავრცელებულია უბნის მთელ ტერიტორიაზე.

ფენა 3- გამოუფიტავი საღი ანდეზიტები, სიმძლავრე 1.0-2.5 მ-ის ფარგლებშია.

ფენა 4- გამოუფიტავი ტუფობრექჩიები. სიმძლავრე 5.0-8.0 მ-ის ფარგლებშია.

ყველა ეს გრუნტი ზემოდან გადაფარულია ნიადაგის ფენით, სიმძლავრე _ 0.4 მ-ის ფარგლებშია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

2. უბნის ამგები გრუნტების ფენაში გამოიყოფა 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე _ თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);

II სგე _ გამოუფიტავი საღი ანდეზიტები (ფენა 3);

III სგე _ გამოფიტული ტუფობრექჩიები (ფენა 4);

ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.



აჭარის რეგიონი
სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტები

მასშტაბი: 1:250 000


სამიზნე ტერიტორია

3.4. სეისმოლოგია



სეისმიური საშიშროების რუკა
მაქსიმალურ ჰორიზონტალურ აჩქარებასა და ბალებში



სეისმური საშიშროების რუკის დანართის ამონარიდი

	დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	საკრებულო	A-სეისმურობის განზომილებო კოეფიციენტი	ბალი (MSK64 სკალა)
575	დაბა ჩაქვი	აჭარა	ქობულეთის	ჩაქვის სადაბო	0.10	7

შენობაზე სეისმური ზემოქმედების საანგარიშო ინტენსიურობა, ბალი	საანგარიშო მნიშვნელობა
7	0,80
8	0,65
9	0,50
10	0,35

3.5. კლიმატი

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -16;
ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +13,4;
ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 78%
ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2650 მმ;
ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 235 მმ;
ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 752 მმ;
თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 17.

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

(ამონარიდი) ცხრილი 2

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

(ამონარიდი) ცხრილი 3

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
153	ჩაქვი	IIIბ

მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

(ამონარიდი) ცხრილი 9

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ბ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

საქართველოს ტერიტორიის საშშენებლო კლიმატური დარაიონება

რუკა - სქემა № 1


სამიზნე ტერიტორია
IIIბ
IIIბ
IIIბ
IIIბ
IIIბ
IIIბ
IIIგ
IIIგ
IIIგ

3.6. ეკოლოგია
დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი (პირდაპირი მანძილი 7,2 კმ.) დაცული ტერიტორია მდებარეობს მტირალას ეროვნული პარკია, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან სამხრეთ აღმოსავლეთით არის განთავსებული. დაშორების გათვალიწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას (ეკოსისტემების დაზიანება, მთლიანობის დარღვევა და ა.შ), არ იქონიებს.

ბიოლოგიური გარემო და დენდროლოგიური მონაცემები

საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარი ძირითადად ხელოვნურად განაშენიანებულ სახეობებს მოიცავს, რომლებიც არ წარმოადგენს დაცული სტატუსის მქონე სახეობებს.

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შეშფოთებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქობულეთის შემოვლით გზასთან და დაბის ურბანულ ნაწილთან, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის. ტერიტორიის განაშენიანება ითვალისწინებს სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებით გამწვანებას, რაც საკომპენსაციო ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს.

პროექტის განხორციელებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბი დაბალი მნიშვნელობის იქნება.

ატმოსფერულ ჰაერი და ხმაურის გავრცელება

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევა ხორციელდება როგორც ავტომატურ სადგურებზე, ასევე ინდიკატორული გაზომვებით.

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად დაბა ჩაქვში და ქალაქ ქობულეთში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ავტომატური სადგურები არ არის წარმოდგენილი, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სადაც გაზომვები (როგორც ინდიკატორული ასევე ავტომატურ სადგურზე) წარმოებს ქალაქი ბათუმია.

დაბა ჩაქვში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები წარმოდგენილი არაა. ატმოსფერული ჰაერის მთავარ დამბინძურებლად შეიძლება მივიჩნიოთ დაბის სატრანსპორტო ქსელსა და ქობულეთის შემოვლით გზაზე მოძრავი ავტოტრანსპორტი. ავტოტრანსპორტი საქართველოში ერთერთ მთავარი ფაქტორად ითვლება ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის ემისიების თვალსაზრისით.

სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკის მიხედვით (map.emoe.gov.ge) დაბა ჩაქვში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემდეგი ტიპის საქმიანობებია წარმოდგენილი:თხევადი საწვავის რეალიზაცია; ბუნებრივი აირის საცავების და ტერმინალების ოპერირება; სასტუმროებით მომსახურება; ბეტონის ნაკეთობების წარმოება; კვების პროდუქტების წარმოება.

მოცემული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები როგორებიცაა: ნახშირწყალბადები, მეთანი, ეთილმერკაპტანი, ჭვარტლი, ბენზ(ა)პირენი, გოგირდის ორჟანგი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი, მტვერი, ცემენტის მტვერი, ეთილის სპირტი, ალდეჰიდები.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელების მთავარი წყარო ქობულეთის შემოვლით გზაზე მოძრავი ავტოტრანსპორტია. შემოვლითი გზა საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 400 მ. მანძილში მდებარეობს.

პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწყობასთან იქნება დაკავშირებული - მიწის სამუშაოები, სატვირთოების გადაადგილება, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების გამოყენება, ბეტონის სამუშაოების წარმოება და სხვა. თუმცა, პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის. ამ პერიოდის განმავლობაშია მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, რაც გამოხატული იქნება ფონური მდგომარეობის მცირედით გაუარესებაში და მიმდებარე ტერიტორიებზე ხმაურის დონის მატებაში.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

ნიადაგი და გრუნტი

პროექტის განხორციელება ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. საინჟინრო ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების საძირკვლებისთვის საჭირო ქვაბულების მოწყობის პერიოდში საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი.

დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე (ან მიმდებარედ) გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა მოხდება არაუმეტეს 2,5 მ-ის სიმაღლის ნაყარში, ე.წ. კავალიერებში, რომელთა ფერდების დახრილობის კუთხე იქნება არაუმეტეს 45^0. დასაწყობების ტერიტორია დაცული იქნება წარეცხვისაგან წყალამრიდი არხების მოწყობით. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული იქნება კომპლექსისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები

საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდინარე ჩქავისწყალია, რომელიც საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით დაახლოებით 1 კმ. მანძილში გაედინება, ხოლო შავი ზღვა საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაახლოებით 1.07 კმ-ში მდებარეობს. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილებიდან გრუნტის წყლები დაფიქსირდა - 6 მ. სიღრმეზე. ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორების და გრუნტის წყლების დგომის სიღრმის გათვალისწინებით პროექტის განხორციელების ეტაპზე ზედაპირულ წყლის ობიექტებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. თუმცა წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს სამშენებლო სამუშაოების არასწორ წარმართვას, დაუდევრობას, ნარჩენების არასათანადო მართვას, ტერიტორიაზე ავარიულ დაღვრებს (ამ შემთხვევაში არსებობს გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები) და სხვა. აღნიშნულმა არასათანადოდ მართულმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ახლომდებარე წყლის გარემოს დაბინძურება. საპროექტო ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები მინიმალურია. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, რომელიც არსებულ საკანალიზაციო სისტემას დაუკავშირდება.

შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

ნარჩენების მართვა

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენის სათანადო მართვას საჭიროებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოს დაბინძურება. ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება დააბინძუროს გარემოს სხვადასხვა კომპონენტები. სამუშაოების წარმართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავება“. კომპლექსის ფუნქციონირებისას ტერიტორიას მოემსახურება აღნიშნული სამსახური, ხოლო პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია შემდეგი მართისთვის ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავებას“ გადაეცეს, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიასთან.

წარმოქმნილი მუნიციპალური, ან მსგავსი შემადგენლობის ნარჩენების განთავსება განხორციელდება ოზურგეთის ან ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს, ან 2024 წლის დასაწყისში ექსპლუატაციაში შევა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის ტერიტორიაზეა განთავსებული და მოემსახურება აჭარის რეგიონს.

პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება სპეციალურ, სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში. კონტეინერების ტრანსპორტირება და დაცლა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის თანახმად ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპლექსის მოწყობის პერიოდში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიიდან გასატანი იქნება ინერტული ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერები, რომელსაც მოემსახურება შესაბამისი კონტრაქტორი პირი/კომპანია.

ნარჩენების სათანადო მართვის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება

გეგმარებით ერთეულზე და მის მიმდებარედ არ ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვა და მათი გამოყენება.

4. მიწათდაფარულობა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-6 დანართის (მონაცემთა სარეკომენდაციო მატრიცა) 1.9. პუნქტის მიხედვით სამიზნე ტერიტორია, განეკუთვნება ურბანიზებულ, კერძოდ დასახლებულ (სადაბო) ტერიტორიას.


ბანაშენიანების დეტალური გეგმა
საპახსრო მონაცემები
20.48.09.1000
მიწათმფლობელობა
ლეგენდა
გეგმარებითი ერთეული
საკადასტრო სახლვარი
საპროექტო ტერიტორია
ურბანიზირებული
დასახლებული (ნაგებობა)
ძეხის ტერიტორია
228975
229025
229075
229125
229175
229225
229275
4624675
4624625
4624575
4624525
4624475
4624425
მასშტაბი
15 0 15 30 45 60
ძრავლეთის მუნიციპალიტეტი

5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა/ურბანული ინტეგრაცია, განაშენიანების და გამოყენების სახეობების სტრუქტურა

გეგმარებითი ერთეული - საპროექტო მიწის ნაკვეთი არ არის განაშენიანებული - თავისუფალია, ასევე თავისუფალი მიწის ნაკვეთებია პერიმეტრის 50 მეტრის გარშემო. აღნიშნულიდან გამომდინარე განაშენიანების კვლევის საფუძველზე განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულება ვერ დგინდება. ტერიტორიის მიმართ, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ნაკვეთი, ფუნქციური ზონა ან/და ქვეზონა განსაზღვრული არ არის.

მიმდებარე ტერიტორიებზე ისვე როგორც წარსულში, ძირითადად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. მიმდებარე ტერიტორიების შედარებით ინტენსიური ათვისება დაიწყო 2006 წლიდან, აშენდა საცხოვრებელი და ერთეული საზოგადოებრივი, ასევე სხვა დანიშნულების ობიექტები. გეგმარებითი ერთეულის დასავლეთით აშენდა ქობულეთის შემოვლითი გზა. კაპიტალური ფონდი განიცდის განახლებას. მატერიალური გარემო არ გამოირჩევა ღირებული არქიტექტურით. ქუჩების ქსელი ეყრდნობა ადგილობრივი მნიშვნელობის ქსელს.

დღეისათვის გეგმარებითი ერთეულის ტერიტორია განაშენიანების ჩამოუყალიბებელი სტრუქტურისაა, მიმდებარე განაშენიანებისათვის გამოყენების დომინირებული სახეობაა საცხოვრებელი, განაშენიანების სახეობა არსებული მდგომარეობით არის ღია.

მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევის ანალიზის მიხედვით, ასევე დასაგეგმარებელი ობიექტის გათვალისწინებით, გეგმარებით ერთეულს შესაძლებელია მიენიჭოს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონა (სზ 3), სადაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მიხედვით გამოყენების ნებადართული სახეობებია:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
ბ) საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
გ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
დ) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური);
ე) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის დასახლებას;
ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
ზ) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
თ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
ი) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
კ) სასტუმრო;
ლ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
მ) ადმინისტრაციული ობიექტი;
ნ) ოფისი;
ო) ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:

ა) მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
ბ) სავაჭრო ცენტრი;
გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

6. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის, მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს (300 მ. რადიუსში. იხ რუქა).

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტეროტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში. იხ რუქა).




ბაბეი
Chakvi
1060 მ
ადგილობრივი ფოტოკადრი
#13085 - ოთხი ხანიერი ოთახიანი ბინა
ფოტოგადაღების ადგილი
120 0 120 240 360 480
მასშტაბი
ფასადური ფოტოგადაღება ფოტოკამერით
ბინა ბაბეი, ქობულეთი, ფოთის ქუჩა
ფოტოგადაღების ადგილი
ფოტოკადრი
ობიექტის ფოტოგადაღების
ფოტოკადრი
ობიექტის ფოტოგადაღების
ადგილი
ობიექტის ფოტოგადაღების
ადგილი
ობიექტის ფოტოგადაღების
ადგილ

7. ინფრასტრუქტურა:
7.1. სოციალური

სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული, ასევე არ არის განთავსებული 300 მეტრიან რადიუსში (იხ. საბაზისო რუკა).

7.2. სატრანსპორტო

საკვლევი ობიექტი მდებარეობს დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილისა და აბაშიძის ქუჩების მიმდებარედ, ობიექტი შენდება რელიეფურად მთა-გორიან ადგილას, დაბა ჩაქვიდან მისასვლელად გამოიყენება მეგენეიშვილის ქუჩა, აღნიშნული ქუჩა წარმოადგენს შიგა სასოფლო გზას, გზის სავალი ნაწილი დაფარულია ბეტონის საფარით, მისი სავალი ნაწილის სიგანე შეადგენს 4,0 მეტრს. გზის გასწვრივ არ არის საფეხმავლო ტროტუარები, პერსპექტივაში შესაძლებელია მათი მოწყობა. მეგენეიშვილის ქუჩიდან საკვლევ ობიექტამდე 0.5 კმ-ს სიგრძის შესასვლელი მოსაწესრიგებელია, შესაძლებელია მოეწყოს 4,0 მეტრი სიგანის გზა.



საკვლევ ობიექტთან უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია ქობულეთი-ბათუმის ცენტრალურ მაგისტრალზე (E70), მანძილი ობიექტიდან შეადგენს 1,3 კმ-ს, ქვეითად მოსიარულეს მის დასაფარად დაჭირდება 15 წთ. აღნიშნულ მაგისტრალზე მოძრაობს როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ასევე სამარშრუტო ტაქსები 10-15 წთ-ის ინტერვალებით. სხვა საჯარო სივრცეები ხელმისაწვდომია ქ. ბათუმში, 20 კმ-ის დაშორებით, ავტომობილს მის დასაფარად დაჭირდება საშულოდ 30 წთ. ავტომფლობელებისათვის უახლოესი ავტოგასამართი სადგური მდებარეობს დაბა ჩაქვში, ცენტრალურ მაგისტრალზე და მანძილი საკვლევი ობიექტიდან შეადგენს 1,3 კმ-ს, მის დასაფარად ავტომობილს დაჭირდება 5 წთ.


20.48.09.1000
4624625
4624575
4624525
4624475
4624425
2289975
2290025
2290075
2291125
2291175
2292225
2292275
0 15 30 45 60
15

7.3. საინჟინრო - კომუნალური

საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსის გათვალისწინებით გეგმარებით ერთეულზე მომხმარებელთა საშუალო რაოდენობა იქნება 190. მომხმარებელთა მაქსიმალური საერთო რაოდენობის და სიმძლავრეების მოხმარების პიკური რაოდენობის გათვალისწინებით, საცხოვრებელი კომპლექსის კომუნიკაციებზე დაერთების შესაძლებლობასთან, მათ შორის გაზიფიცირებასთან, წყალმომარაგება/წყალარინებასთან, სანიაღვრე სისტემებთან და ენერგომომარაგებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ქვემოთ.



O-SGG-CSH-LT-2023-4-25/174471391

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

შპს „როგანტინი რეალ ესტეიტ“-ის

დირექტორს ბატონ

არცია სარანტიდის

№ O-SGG-CSH-LT-2023-4-25/17
25.04.2023

ბატონო არცია

თქვენი მიმდინარე წლის #I-SGG-FOA-ST-2023-4-25/03 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი დაბა ჩაქვი მეგენეიშვილისა და აბაშიძის ქუჩები (ს/კ 20.48.09.1000) მიმდებარედ განთავსებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული დ=40 და დ=63-იანი საშუალო წნევის მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენი, საიდანაც სრულად არის შესაძლებელი, თქვენს მიერ მოთხოვნილ მისამართზე დაგეგმილი მრავალფუნქციური კომპლექსის ბუნებრივი გაზით მომარაგება, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად.

აქვე განგიმარტავთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად- „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადით (ერთობლივი განაცხადით) მომართვის შემთხვევაში წინასწარ სრულად უნდა გადაიხადოთ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ამასთან განაცხადს დამატებით უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომხმარებლების (აბონენტების) მიხედვით მისაერთებელი სიმძლავრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ მომხმარებლების დაზუსტებული მისამართები, საკადასტრო კოდის მითითებით;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზმომარაგების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით), ამასთან თუ თქვენი ობიექტი აშენებულია საქართველოს მთავრობის N41 დადგენილების საფუძველზე(აქ ჩაწერეთ სრული სახელწოდება), გაზმომარაგების სქემა წარმოადგენს შენობის კონსტრუქციული ნაწილის შემადგენელს, შესაბამისად თვქნე მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რადგან სრულად იყოს გამოკვეთილი რომ გაზმომარაგების წარმოდგენილი სქემა კონსტრუქციული სქემის შემადგენელია.;

გ) მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვის კვანძების განთავსების ადგილი შერჩეული იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად. მრიცხველების მოსაწყობად უნდა გამოიყოს სპეციალური ნიშა (ყველა ან რამოდენიმე სართულზე) რომელსაც ფასადის მხარეს ექნება ვენტილირებული მოპირკეთება (პერგოლა, ცხაური, გისოსი) ან/და მრიცხველები განთავსდეს პირველ სართულზე, ღია სივრცეში. ერთ ნიშაში ერთდროულად უნდა განთავსდეს არაუმეტეს 15 მრიცხველისა. გაზსადენი (დგარი) გატარებული უნდა იყოს ასევე ღია სივრცეში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებს ახორციელებს გაზგამანაწილებელი კომპანია, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასურის საფუძველზე. დადგენილების თანახმად-„იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელ ქსელზე ხდება ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი. ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო სამუშაო და ხარჯი (სრული ტექნოლოგიური ციკლი), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანა, მიერთებისათვის საჭირო სამუალებების შეძენა, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის ან ნებართვის მოპოვება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყების ჩათვლით. ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე ქსელის მოწყობას (შიდა ქსელი) უზრუნველყოფს ახალი მომხმარებელი“

საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველებიდან გაზდანადგარებამდე უნდა დამონტაჟეს უწყვეტი ალუმინის მრავალშრიანი მილები, შენობის შიგნით მილგაყვანილობის მარშრუტი უნდა გადიოდეს ვენტილირებად სივრცეებში ან გამოყენებული უნდა იყოს ვენტილირებადი მილები (საჰაერო არხები/მილები) ან მილის გარშემო სივრცე შეიავსოს ინერტული მასალებით. გაზსადენი უნდა მოთავდეს ისეთ კორპუსში, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას ხანძრის შემთხვევაში. გარეშე(არა გამანაწილებელი ლიცენზიატის). შესაბამისად გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მითითებები მშენებლობის დროს, რათა გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაზიფიცირების სამუშაოები შესრულდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობის დროს გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ გაზსადენი მილის უწყვეტობის მნიშვნელობა გაზის გაჟონვისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ამასთან მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს გამოყენებული მასალების სერთიფიკატები და ფარულ სამუშაოთა აქტი.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ შენობა-ნაგებობებში გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებულ შენობებში დასრულებულია კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოები (გარდა მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოებისა), მათ შორის, აშენებულია ყველა სართული, გადახურვით, საერთო სარგებლობის ფართობი, სადაც განთავსებული იქნება გაზგაყვანილობა და/ან გაზის აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით, ხოლო მრავალბინიანი შენობების შემთხვევაში, დასრულებულია და დაცულია ლიფტის შახტები; მოწესრიგებულია კიბის უჯრედები და გამოყოფილია ბინები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „განაწილების ლიცენზიანტისთვის“ აუცილებელ პირობად განსაზღვრულია ბუნებრივი გაზით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება, გთხოვთ გაითვალისწინოთ წინამდებარე წერილში მითითებული ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაიცვათ

კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. საკითხის აქტუალობიდან, შემდგომში გაზიფიცირების სამუშაოების შეფერხების ან/და შეუძლებლობის გამორიცხვის მიზნით, გთხოვთ გაზგამანაწილებელი ქსელის სქემა, მრიცხველების განთავსების ადგილი წინასწარ შეათანხმოთ ჩვენს კომპანიასთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ზაქოს ქუჩა №46.

პატივისცემით,

აჭარის რეგიონალური ოფისის

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ვ.ბერიშვილი

შემსრულებელი:
ი.დიასამიძე

შპს "ბათუმის წყალი"

წერილის ნომერი: **60-142311457**
თარიღი: **24/04/2023**

ადრესატი: შპს როგანტინი რეალ ესტეიტ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445664843
მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, N 1, სართული 13, ბინა N 147

შპს „როგანტინი რეალ ესტეიტ"-ის

დირექტორს არცია სარანდიტის,

თქვენი ამა წლის 20 აპრილს № 22/1423110595-60 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილისა და აბაშიძის ქუჩების მიმდებარედ, (20.48.09.1000), მიწისქვეშა კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გიგზავნით სიტუაციურ გეგმას სადაც დატანილია შპს „ბათუმის წყალი"-ს კომუნიკაციები.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

ალექსანდრე მუავანაძე

შპს" ბათუმის წყალი"-გენერალური დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სიტუაციური გეგმა

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა
0186 თბილისი, საქართველო

5263689

შპს „ როგაპტრნი რეალ ესტეიტ"-ს
ს/კ: 445664843
მის: ქ. ზათუმი თამარ მეფის გამზირი N1

თქვენი 2023 წლის 21 აპრილის (შემ №90454-22) განცხადების პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. დაბა ჩაქვი მეგენეანმეგილისა და ვაზანიის ქუჩის მიმდებარედ საკადასტრო კოდით (20.48.09.1000) რეგისტრირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიებზე ასამენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოთხოვნილი სიმძლავრის ელ. ენერგიით მომარაგებისთვის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წერტილის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ ახალი ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული, 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილების „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესები"-ს 18-ე მუხლით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, ელ. ქსელზე მიერთების მსურველი ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნით, ობიექტის დადგმული სიმძლავრის მითითებით, მიმართოს განაწილების ლიცენზიატს და აკმაყოფილოს სახით გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური. აღნიშნული პროცედურის შესრულების შემდეგ, კომპანია იმოქმედებს ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ–გვერდზე: www. energo-pro.ge

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი.

David Kharshiladze
Digitally signed by David Kharshiladze
Date: 2023.04.25 12:27:04 +04'00'

შემს: ლელა ჯანიძე
ტელ 577350529

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის

გაზიფიცირების შესაძლებლობისა და პერსპექტიული გაზმომარაგების ანალიზი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, მეგენეიმვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს.კ 20.48.09.1000)
საცხოვრებელი კომპლექსის გზიფიცირებისთვის წინასაპროექტო მონაცემების კვლევა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, დამკვეთის მიერ მოსაკვლევად მითითებული საპროექტო ტერიტორიული ერთეული, რომელიც შედგება 1 მიწის ნაკვეთისაგან, სამომავლო კვლევისთვის წარმოადგენს საამშენებლო მოედანს, სადაც დაგეგმილია 17 ცალკეული მრავალსართულიანი (12 - 2 სართულიანი; 1 - 3 სართულიანი; 2 - 4 სართულიანი; 1 - 5 სართულიანი; 1 - 7 სართულიანი) საცხოვრებელი სახლის და სასტუმრო ტიპის აპარტამენტების, კომერციული დანიშნულების ფართების შენობა ნაგებობა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს დასაგეგმი, ცალკეული შენობა ნაგებობებისთვის (მომავალი გაზის მომხმარებელი ობონენტებისათვის) საჭირო გაზის შესაძლო, საანგარიშო მოხმარებიდან, კომპლექსის, ერთობლივი საანგარიშო, (ჯამური) გაზის მოხმარების პიკური რაოდენობა, რათა გაზის მიმწოდებელმა (ლიცენზიანტმა) კომპანიამ განსაზღვროს ან წინასწარ გაითვალისწინოს არსებული ან ასაშენებელი გაზსადენების ქსელით დასაგეგმი საცხოვრებელი კომპლექსის და კომერციული ობიექტების შეუფერხებელი გაზის მიწოდების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

დასაგეგმი საცხოვრებელი 17 შენობა-ნაგებობა წინასაპროექტო მონაცემებით განლაგებულია იქნება ერთმანეთისგან შიგა ქუჩებით გამოყოფილ სამ რიგად სულ ჯამში ყველა კორპუსებში 182 ბინის მოწყობაა დაგეგმილი, ასევე ტერიტორიაზე იგეგმება სხვადასხვა კომერციული დანიშნულების (სავაჭრო, ოფისი, კვების და გასართობი) ობიექტების განლაგება.

დაგეგმილი საცხოვრებელი კომპლექსის გაზით მომარაგებისთვის პიკური მოხმარების საანგარიშო ოდენობის განსასაზღვრად ვიყენებთ პირველად საპროექტო მონაცემებს, რის საფუძველზეც პოტენციური ობონენტის ტიპის (საყოფაცხოვრები ან არასაყოფაცხოვრები) მიხედვით, სავარაუდო გაზის ხელსაწყოების, მათი მომხმარების რაოდენობრივი მონაცემების და ერთობლივი მოხმარების შესაძლებლობის შესაბამისი კოეფიციენტის გათვალისწინებით ვითვლით გაზის მოხმარების შესაძლო მაქსიმალურ საათურ რაოდენობას.

კომპლექსის მრავალბინიანი სახლების ბინების საანგარიშო ჯამური რაოდენობა შეადგენს 182 ერთეულს, სავარაუდო პოტენციური მომხმარებლის საანგარიშო მაქსიმალური საათური გაზის ხარჯი 4 ქურაქანი გაზქურის და გათბობის (ცხელი წყლის) ქვაბის (მოცემული ბინის ფართების გათვალისწინებით) მაქსიმალური გაზის მოხმარება ჯამურად 2.4კუბ.მ/სთ-ია, ცალკეულ ბინაში ხელსაწყოების ერთობლივი მოხმარების საანგარიშო კოეფიციენტის (K1=0.8) და ბინების რაოდენობის მიხედვით ერთობლივი მოხმარების კოეფიციენტების (ამ შემთხვევაში K2=0.60) გათვალისწინებით მარტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეთობლივი შესაძლო პიკური საათური გაზის მოხმარება შეიძლება დავთვალოთ შემდეგნაირად

Qmax=(1,8*0,8*0,65*182)+(1,25*0,150*182)= 170.3+34.12=**205** კუბურ მეტრამდე საათში.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების კომერციული ობიექტების ძირითადი გაზის მოხმარება გათვალისწინებულია თითოეული ნაგებობის ცენტრალიზებული გათბობოს (ე.წ. ჩილერების) სისტემის მოწყობისთვის. განვიხილოთ ცალკეული, ტიპიური ნაგებობისთვის გაზის მაქსიმალური საათური საანგარიშო მოხმარება, შენობების მოცულებებისა და ფუნქციონალური დატვირთვებიდან გამომდინარე ის ასე გამოიყურება:

შენობა-ნაგებობებში საწყის სართულებზე განსათავსებელი გაზის თითოეული არასაყოფაცხოვრებო ობონენტის (ამ შემთხვევაში სავაჭრო ობიექტები და ოფისებს, რესტორნებს, კაფეებს და სხვა.) მაქსიმალურ დასამვებ სიმძლავრედ მიღებულია 10 კუბ.მ/სთ-მდე პიკური გაზის მოხმარება, აქედან გამომდინარე შესაძლო არასაყოფაცხოვრებო პოტენციური ობონენტების რაოდენობის (6 ერთეული) და მათ მიერ ერთდროულად გაზის მოხმარების კოეფიციენტის (ამ შემთხვევაში K2=0.8) გათვალისწინებით მოსაკვლევ, ტერიტორიაზე დაგეგმილი გაზის არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების საერაუდო მაქსიმალური (პიკური) საათური გაზის მოხმარებამ შეიძლება შეადგინოს:

Qmax= 6*10*0.8=**52** კუბ.მ/სთ

მთლიანად საცხოვრებელი კომპლექსის სრული საათური პიკური მოხმარება შეიძლება მივიღოთ კომერციული და საყოფაცხოვრებო მოხმარებების დაჯამებით:

Qmax=205 + 52 = 257კუბ.მ/სთ

დასაგეგმი კომპლექსის გაზმომარაგებისთვის საჭიროა თითოეულ მრავალსართულიან შენობა-ნაგებობამდე შიგა, საშუალო წნევის გაზსადენების ქსელის მოწყობა და საშუალო წნევის გაზსადენის ქსელზე დაერთება, ხოლო შენობებში უნდა მოხდეს გაზის დაბალი წნევის გამანაწილებელი ქსელის მოწყობა ინდივიდუალურ მრიცხველებამდე.

შემსრულებელი, სპეციალისტი, ბუნებრივი აირით
მონარაგების საკითხებში.ი. ბურჭულაძე

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს.კ 20.48.09.1000)

ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ: 20.48.09.1000) მდებარე მიწის ნაკვეთზე, დაგეგმილია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობების მშენებლობა. 7 სხვადასხვა ბლოკისგან შემდგარი (A; B; C; D; E; F; G;) შენობა ნაგებობა:

ბლოკი	დანიშნულება/დასახელება	სართულიანობა	ბინების/აპარტამენტებს რაოდენობა	ფართი $მ^2$
A	საცხოვრებელი ბინა	3	24	1500
B	საცხოვრებელი ბინა	4	16	1400
	კომ. ფართი (კაფე)			400
C	საცხოვრებელი ბინა	4	12	1400
D	საცხოვრებელი ბინა	5	18	2000
E	სასტუმროს ტიპის აპარტამენტი	7	100	8000
	კომ. ფართი			400
	კომ. ფართი (რესტორანი)			350
	ფიტნეს კლუბი			250
F	ინდივიდუალური კოტეჯი	2	7	125
G	ვილა	2	5	360

საპროექტო ტერიტორიის მომავალი წყალმოამრაგებისა და წყალარინების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელისა და წყალარინების ქსელის არსებული მდგომარეობა და ასევე საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების შესაძლო მოცულობების ხარჯები:

საპროექტო ტერიტორიაზე გასანთავსებელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობები დაკომპლექტებულია სტანდარტული საცხოვრებელი ბინებით, სადაც 4 საცხოვრებელი სახლის/კოტეჯის/ვილის ბინების საერთო რაოდენობაა 82 ერთეული. 2 სართული = 12 ბინა; 3 სართული = 24; ბინა; 4 სართული = 28 ბინა; 5 სართული =18 ბინა; ხოლო სასტუმროს ტიპის 7 სართული = 100 აპარატამენტი;

მოცულობების დაანგარიშებისათვის გამოყენებულია საცხოვრებელ ბინაზე სააბაზანოს 3 სველი წერტილი და სამზარეულოს 3 სველი წერტილი, ხოლო აპარატამენტების ტიპის ბინაზე სააბაზანოს 3 წერტილი და სამზარეულოს 2 წერტილი.

საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები			
#	ბლოკი	სართულიანობა	ბინების რაოდენობა
1.	A	3 სართულიანი	24 საცხოვრებელი ბინა
2.	B	4 სართულიანი	16 საცხოვრებელი ბინა
3.	C	4 სართულიანი	12 საცხოვრებელი ბინა
4.	D	5 სართულიანი	18 საცხოვრებელი ბინა
5.	F	2 სართულიანი	7 საცხოვრებელი ბინა
6.	G	2 სართულიანი	5 საცხოვრებელი ბინა
სულ საცხოვრებელი შენობა ნაგებობა:			**6 ერთეული**
სულ საცხოვრებელი ბინების რაოდენობა:			**82 ერთეული**
სულ საცხოვრებელი ბინების საერთო ფართი:			**6785 $მ^2$**
არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები			
#	ბლოკი	სართულიანობა	აპარტამენტების რაოდენობა
1.	E	7 სართულიანი	100 აპარატამენტი
სულ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა:			**1 ერთეული**
სულ არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი:			**8000 $მ^2$**

საცხოვრებელი ბინები:

ა - საპირფარეშო
ბ - სამზარეულო

#		დასახელება	ხარჯი / ნორმა სულზე დღ/ღ	საშუალოდ დღ/ღ
ა	1.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	2.	საშხაპე	85 ლტ.	450 ლტ.
	3.	უნიტაზი	50 ლტ.	400 ლტ.
ბ	4.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	5.	ჭურჭლის სარეცხი ონკანი	60 ლტ.	450 ლტ.
	6.	ტანსაცმლის სარეცხი მანქანა	45 ლტ.	200 ლტ.
გ	**7.**	***სახანძრო უსაფრთხოება***	***1500 ლტ.***	***1500 ლტ.***

A-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 24 + 1500 = 44700 ლტ.დღ/ღ	
B-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 16 + 1500 = 30300 ლტ.დღ/ღ	
C-ბლოკი	

საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 12 + 1500 = 23100 ლტ.დღ/ღ	
D-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 18 + 1500 = 33900 ლტ.დღ/ღ	
F-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 7 + 1500 = 14100 ლტ.დღ/ღ	
G-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**
1800 ლტ.დღ/ღ * 5 + 1500 = 10500 ლტ.დღ/ღ	

#	დასახელება	ლტ.დღ/ღ	კბმ/დღ/ღ	დიამეტრი	
				წყალი	წყალარინება
1.	A-ბლოკი	**44700**	**44.7**	**40 მმ**	**100 მმ**
2.	B-ბლოკი	**30300**	**30.3**	**40 მმ**	**100 მმ**
3.	C-ბლოკი	**23100**	**23.1**	**32 მმ**	**100 მმ**
4.	D-ბლოკი	**33900**	**33.9**	**32 მმ**	**100 მმ**
5.	F-ბლოკი	**14100**	**14.1**	**25 მმ**	**100 მმ**
6.	G-ბლოკი	**10500**	**10.5**	**25 მმ**	**100 მმ**
საერთო მოთხოვნა:		**156300**	**156.6**	**63 მმ**	**150 მმ**

არასაცხოვრებელი ბინები:

ა - საპირფარეშო
ბ - სამზარეულო

#		დასახელება	ხარჯი / ნორმა სულზე დღ/ღ	საშუალოდ დღ/ღ
ა	1.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	2.	სამხაპე	85 ლტ.	450 ლტ.
	3.	უნიტაზი	50 ლტ.	200 ლტ.
ბ	4.	ხელსაბანი	40 ლტ.	250 ლტ.
	5.	ჭურჭლის სარეცხი ონკანი	60 ლტ.	250 ლტ.
გ	**6.**	***სახანძრო უსაფრთხოება***	***1500 ლტ.***	***1500 ლტ.***

E-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ არა საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	**(300+450+400+300+450+200)=1450 ლტ.დღ/ღ**
1450 ლტ.დღ/ღ * 100 + 1500 = 146500 ლტ.დღ/ღ	

#	დასახელება	ლტ.დღ/ღ	კბმ/დღ/ღ	დიამეტრი	
				წყალი	წყალარინება
1.	E-ბლოკი	**44700**	**44.7**	**63 მმ**	**100 მმ**

#	დასახელება	კბმ/დღ/ღ
1.	საცხოვრებელი	156.6
2.	არა საცხოვრებელი	44.7
ჯამური მოთხოვნა:		201

#	დასახელება	ლტ.დღ/ღ	კბმ/დღ/ღ	დიამეტრი	
				წყალი	წყალარინება
1.	A, B, C, D, E, F, G - ბლოკი	**201000**	**201**	**75 მმ**	**150 მმ**

წყლის საანგარიშო ხარჯების გამოსათვლელად საჭირო ნორმატივები აღებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნ და წ. 2.04.02-84) მიხედვით. წყლის ხარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულებით.

საშუალო დღე-ღამური ხაჯი

$$Q\ \text{დღ.საშ} = \frac{N*n}{1000} \text{მ}^3/\text{დღ.ს}$$

სადაც: N-არის მოსახლეობის რაოდენობა 1200 კაცი;

n-წყლისნორმა ერთსულ მოსახლეზე 250 ლიტრი/დღე;

$$Q\ \text{დღ.საშ} = \frac{1200*250}{1000} = 300\ \text{მ}^3/\text{დღ.}\ 12.5\ \text{მ}^3/\text{სთ.} = 1.47\ \text{ლ/წმ}$$

მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი, რომელიც მოსახლეობითვისაა საჭირო

$$Q^{\text{მოს}}_{\text{მაქ.დ.ღ.}} = K_{\text{დ.ღ.}} x Q^{\text{საშ}}_{\text{დ.ღ.}}$$

$K_{\text{დ.ღ.}}$ - დღე-ღამური უთანაბრობის კოეფიციენტია, მიიღება $K_{\text{დ.ღ.}} = 1,2$

$$Q^{\text{მოს}}_{\text{მაქ.დ.ღ.}} = 1,2 \text{ x } 300\ \text{მ3/დ.ღ} = 360\ \text{მ3/დ.ღ}$$

გაუთვალისწინებელი ადგილობრივი წყალმომარაგებისათვის ვიღებთ 30%-ს მაშინ მთლიანი მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი იქნება

$$Q_{\text{მაქ.დ.ღ.}} = 1,3 Q^{\text{მოს}}_{\text{მაქ.დ.ღ.}} = 1,3 \text{ x } 300\ \text{მ3/დ.ღ} = 390\ \text{მ3/დ.ღ}$$

$K_{მაქ.სთ.}$-საათური უთანაბრობის კოეფიციენტია და გამოითვლება ფორმულით

$K_{მაქ.სთ.}=\alpha_{მაქ}\times\beta_{მაქ}$

Kმაქ. სთ - საათური უთანაბრობის კოეფიციენტია და გამოითვლება ფორმულით

Kმაქ. სთ=მაქ × მაქ

αმაქ - კოეფიციენტია, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხსა და კოეფიციენტია, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხსა და ადგილობრივ პირობებს ითვალისწინებს და მიიღება αმაქ=1,2÷ 1,4, ვიღებთ αმაქ=1,3;

βმაქ - კოეფიციენტია, რომელიცცხრილი 2-დან აიღება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჩვენ შემთხვევაში βმაქ=1,4, მაშინ

Kმაქ. სთ=1,3×1,4=1,82, ხოლო

qმაქ.წმ=1,82×1.5=2.73 ლ/წმ

qსაშ.წმ. ხარჯზე იანგარიშება საპროექტო წნევიანი წყალდენი რეზერვუარამდე, ხოლო qმაქ.წმ.ხარჯზე - წყალსადენის ქსელი რეზერვუარის შემდეგ. ამასთანავე წყალსადენი სქსელ მოწმდება qმაქ.წმპლუსnqსახ. ხარჯზე.

n - ერთდროულად მოსალოდნელ ხანძართა რაოდენობაა. იგი აიღება ცხრილი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში n=1.

qსახ. - ერთი ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯია. იმავე ცხრილიდან მიიღება მოსახლეობის რაოდენობისა და განაშენიანების სართულიანობის მიხევით და ჩვენ შემთხვევაში ტოლია qსახ. = 10 ლ/წმ.

მაშინ წყლის ჯამური ხარჯი, რომელზე ანგარიშითაც უნდა შემოწმდეს წყალსადენის ქსელი იქნება:

qმაქ. წმ.+ qსახ. = 2.73 ლ/წმ.

ხოლო საპროექტო შენობა ნაგებობების მოთხოვნა სართულებისა და ბინების/აპარტამენტების გაანგირიშებით წყალმომარაგების მოცულობა განისაზღვრება 3,47 ლ/წმ-დან 4.51 ლ/წმ-მდე. ანუ 300 – 390 $მ^3$/დ.ღ

აღნიშნული მოხმარების მიხედვით ცენტრალურ სისტემაზე დაერთება უნდა მოხდეს: დ75მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 450 $მ^3$/დ.ღ-მდე წყალმომარაგების გამტარიანობის წარმადობას უზრუნველყოფს, ხოლო წყალარინების შემთხვევაში სავსებით საკმარისი იქნება დ100მმ-იანი წყალარინების მილით დაერთება ცენტრალურ ქსელზე, მაგრამ განაშენიანებული ტერიტორიის ფუნქციონალურობიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე, როგორც საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ტიპის ბინები, ასევე სხვადასხვა კომერციული დანიშნულების ობიექტები, როგორებიცაა: კაფე, რესტორანი, აუზი, სპორტული კომპლექსი/სპა და სხვა. აქედან გამომდინარე წყალარინების გამტარიანობისათვის და ზედმეტი გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით სასურველია გამოყენებული იქნეს დ150მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ სისტემაზე დაერთება.

აღნიშნული მოხმარების მიხედვით, ზემოთ მოყვანილი ცხრილები/დატვირთვები გაანგარიშებულია 24 საათიანი სრული დატვირთვის მიხედვით, რაც სავსებით შეესაბამება წინასწარი საპროექტო მონაცემების გაანგარიშებას.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ფართოდ/მასიურად გაშლილია და საპროექტო შენობა-ნაგებობები განაწილებულია შესაბამისი განაშენიანების მიხედვით, მიზანშეწონილი იქნება დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე მოხდეს ცალკე გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, რომელიც წყალმომარაგების გამანაწილებელ ქსელზე დაერთებული იქნება დ75 ან დ90მმ წყლის მილით, ხოლო შესაბამისი ჰიდრო გაანგარიშებების შემდგომ, შესაძლებელია დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე მოეწყოს დ63მმ და დ50მმ გამანაწილებელი ქსელი, რომლებზეც დასაგეგმარებელი საპროექტო შენობა-ნაგებობების დაერთება მოხდება გაანგარიშებული ცხრილის შესაბამისად კონკრეტული წყლის მილის დიამეტრებით.

საინჟინრო ჯგუფის მიერ მოხდა დეტალურად დასაგეგმარებელი ტერიტორიების შესწავლა და საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით **(maps.napr.gov.ge -ზე რეგისტრირებული საკადასტრო კოდი 20.00.404**; *<u>საჯარო მონაცემები</u>* **)** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაშია წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი, რომელიც იკვებება 2500 კბმ და 930 კბმ თანამედროვე ტექნოლოგიებით აშენებულ რეზერვუარებიდან, რომელსაც ოპერირებას უწევს შპს „ბათუმის წყალი“.

აქედან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მემედ აბაშიძის ქუჩაზე არსებობს წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი დ110 და დ75მმ-იანი მილებით, რომლებიც მარაგდება დ225მმ-იანი წყალმომარაგების მილით და საპროექტო გაანგარიშების მიხედვით ობიექტის მახლობლად შესაძლებელია მოხდეს დაერთება ზემოხსენებული მილის დიამეტრების შესაბამისად.

დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის შემდგომ, “ოპერატორს” - წყალმომარაგების სადისტრიბუციო კომპანიას არსებულ მაგისტრალურ თუ გამანაწილებელ ქსელზე არ შეექმნება ჰიდრო დარტყმების საშიშროება, კავიტაცია და წნევის ცვალებადობა, რადგან არ იქნება ცალკე პირდაპირი განშტოებების მიხედვით კონკრეტული დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობები დასაერთბელი, არამედ დასაგეგმარებელი ობიექტების დაერთბა უნდა მოხდეს უკვე შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოწყობილ გამანაწილებელ ქსელზე, რომელიც “ოპერატორი“-ს ქსელზე შეჭრილი უნდა იყოს 75მმ ან 90მმ წყლის მილით.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ხელს არ უწყობს წყლის თვითდინებით მიწოდებას, ამიტომ აუცილებელი პირობა იქნება, დაერთების ადგილას დამონტაჟდეს სატუმბო სადგური, სადაც განთავსებული იქნება ორი ტუმბო, ერთი მუშა და მეორე სათადარიგო. სატუმბო სადგურს უნდა გააჩნდეს საფერუსებური წყლის გადაქაჩვის ფუნქცია და გათვალისწინებული უნდა იყოს სამარაგო ავზი,

გამაფართოვებელი, რომ არ შეუქმნას უწყვეტ რეჟიმში წყლის მიწოდება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს.

წყალარინების ქსელის დაერთება აღნიშნული დატვირთვებით რეკომენდირებულია დ150მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ მილზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს 500კბმ/დღ/ღ-ზე მეტი სითხის გამტარიანობას, მაგრამ წყალარინების შემთხვევაში, როგორც წყალმომარაგების ნაწილში აუცილებელი იქნება შიდა წყალარინების ქსელის მოწყობა, შესაბამისი შემკრები წყალარინების ჭებით, რომლებსაც დახურული თუჯის სახურავები ექნება.

წყალმომარაგებიდან განსხვავებით საპროექტო ტერიტორიის მახლობლად არ არის წყალარინების ქსელი, აქედან გამომდინარე რეკომენდირებული სეპტიკური[1] ავზის მოწყობა ზემოთ გაანგარიშებული წყლის ხარჯების მიხედვით. არსებობს რამოდენიმე ვარიანტი სეპტიკური[1] ავზებისა - მზა ქარხნული წარმოების და ასევე სპეციალური საპროექტო დავალების საფუძველზე შესაძლებელია სეპტიკური[1] ავზის მოწყობა/მშენებლობა, გადავსების შემთხვევაში საჭიროა სპეციალიზირებული ასენიზაციის მანქანის მომსახურება.

განმარტება: სეპტიკი[1]

> ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ცენტრალური კანალიზაციის ეკოლოგიური ალტერნატივაა. ბიოგამწმენდ დანადგარში/სეპტიკში ჩასული დაბინძურებული წყალი სუფთავდება ქიმიური და ორგანული ნარჩენებისგან. შედეგად 95-98%-ით გასუფთავებული ტექნიკური წყალი შეგვიძლია გამოვიყენოთ მცენარეების მოსარწყავად ან პირდაპირ გავუშვათ გრუნტში. სეპტიკს არ აქვს სუნი, მისი ექპლუატაცია მარტივია და არ საჭიროებს ასინიზატორის მომსახურებას.

ყოველივე ზემოხსენებული ავტონომიური და განცალკავებული ქსელები, ხელს შეუწყობს ოპერატორის მხრიდან მარტივ ექსპლუატაციას ორივე ქსელზე და ასევე ხარვეზები და ქსელური კონფლიქტები არ იქნება გამოწვეული.

სანიაღვრე - ჩამდინარე წყლების ჩართვა შესაძლებელი იქნება, საპროექტო ობიექტის მიმდებარედ მემედ აბაშიძის ქუჩაზე არსებულ ღია სანიაღვრე არხში, რომელზე შესაძლებელი იქნება საპროექტო ტერიტორიის წვიმის ჩამდინარე წყლის ჩაშვება სპეციალური გოფრირებული ან პოლიეთილენის მილის გამოყენებით დ200მმ ან დ300მმ-იანი, რომელიც საპროექტო ტერტირიაზე წვიმს წყალს თავისუფლად გაატარებს.

სპეციალისტი წყალმომარაგებისა და წყალარინების

ჰიდროკალკულაციის საკითხებში *სერგო ყყონია*

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის

ელეკტრომომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს.კ 20.48.09.1000) უნდა აშენდეს 17 სხვადასხვა ბლოკისაგან შემდგარი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ტიპის კომპლექსი, აქედან 16 საცხოხვრებელი და 1 არასაცხოვრებელი. (12 - ორსათულიანი; 1-სამსართულიანი; 2-ოთხსართულიანი; 1-ხუთსართულიანი; 1-შვიდსართულიანი)

საპროექტო ტერიტორიის მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო საცხოვრებელი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით აქედან გამომდინარე ელექრო ენერგიის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

შენიშვნა: რადგანაც საცხოვრებელი ბინები წარმოადგენს ნახევრად საცხოვრებელს (ნახევრად საცხოვრებელი ნიშნავს 30მ^2 ნაკლებ საცხოვრებელ ფართს სადაც არ არის სამზარეულო გამახურებელი საშვალებები) სიმძლავრის კოეფიციენტი იანგარიშება არა 10 კვტ-დან არამედ 5 კვტ-დან 250 ბინაზე მეტ შემთხვევაში 0,251 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(5*0,251)=1,255 კვტ

დადგენილება №20 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (1მ^2 –0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება,ავტო ფარეხი, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს ცალკეული ბლოკებისთვის.

,,16" ბლოკი - საცხოვრებელი ბინები

5 კვტ-დან 250 ბინაზე მეტ შემთხვევაში 0,251 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(5*0,251)=1,255 კვტ

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ^2	სულ/კვტ
1.	ბინები	1,255	82	102.91
2.	ლიფტი	10	0	0
3.	ხანძრის ქრობის სისტემები	80	6	480
4.	საერთო ფართის განათება	10	16	160
5.	სერვერი-სუსტი დენები	5	16	80
				822,91

საშუალოდ მოთხოვნილი სიმძლავრე (12-ორსათულიანი; 1-სამსართულიანი; 2-ოთხსართულიანი; 1-ხუთსართულიანი;) ექვს საცხოვრებელი **სახლზე** მოთხოვნილი სიმძლავრეა 822,91, კვტ;

არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები

არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები				**კვტ**
#	**სართულიანობა**	**საპროექტო სასარგებლო ფართი (მ^2)**		
1.	**7** სართულიანი	8000 მ^2	0.14	1120
სულ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა:		**1 ერთეული**		
სულ არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი:		8000 მ^2		
აქედან საერთო სარგებლობის ფართი არის 40 პროცენტი				
სულ				1120

არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობები მოთხოვნილი სიმძლავრეა 1120 კვტ

სულ საპროექტო ობიექტის მოთხოვნილი სიმძლავრეა

822,91+1120=1942,91 კვტ

აღნიშნული მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით, ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს 100 მ^2 ფართობის ნაკვეთი და დაპროექტდეს 35/0,4 კვ-ზე 2500 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგური. 1 ც 2500კვა სიმძლავრის ტრ-ით.

ამ საკითხის მოგვარებისთვის ენერგო-პრო ჯორჯიას ექნება აუცილებლობა ჩაატაროს სამუშაოები ქალაქის ელ მომარაგების სახაზო საკაბელო ქსელის ცალკეული მონაკვეთების გასაძლიერებლად (დაამატოს ან შეცვალოს საკაბელო ხაზები), ასევე გააძლიეროს ქალაქის ელ მომარაგებისთვის საჭირო სატრანსფორმატორო ქვესადგურების დადგმული სიმძლავრე (შეცვალოს ან დაამატოს ძალოვანი ტრანსფორმატორები და ელ მოწყობილობები).

აუცილებელია ენერგო-პრო ჯორჯიასთან შეთანხმება, რათა ჩაატაროს ელექტრო ენერგიის ტრანსფორტირებისთვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები.

ამ სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები და ვადები განისაზღვება ენერგ-პრო ჯორჯიასთან დადებული ხელშეკრულებით.

შემდეგ ენერგო-პრო ჯორჯისა მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე განისაზღვრება ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, საიდანაც მოხდება ობიექტის საპროექტო ქვესადგურისთვის ელექტრო ენერგიის მიწოდება.

35 კვ საკაბელო ხაზის გაყვანა ობიექტის 35/0,4 კვ-ის საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე და იქედან ობიექტი ელმომარაგდება 0,4 კვ-ი ქსელით, უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული ელექტროტექნიკური პროექტის საფუძველზე.

ინჟინერი ენერგეტიკოსი: ტარიელ გოგიჩაიშვილი

8. საკუთრების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო იურიდიული პირის საკუთრებას.

მიწის ნაკვეთი		
N	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე
1	2	3
1	20.48.09.1000	შპს „როგანტინი რეალ ესტეიტ“ (ს/ნ 445664843)

9. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები; 10. დარგობრივი გეგმები და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის გეგმარებითი ერთეულის მიმართ გენერალური გეგმა არ არის შემუშავებული, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები დაგეგმილი არ არის, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები, დარგობრივი გეგმები არ არის შემუშავებული, ამასთან გეგმარებითი ერთეულის მიმართ შემუშავების პროცესშია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი - განაშენიანების დეტალური გეგმა.

11. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვეები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების №8 დანართი სარეკომენდაციოა და მისი გათვალისწინება <u>რეკომენდირებულია უშენი ტერიტორიების</u> გემარებითი საბალანსო ერთეულებისათვის. ხსენებული დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამავე პუნქტში მოცემული მარეგულირებელი ინდიკატორები არ არის რეალური მდგომარეობით ნორმატიული მაჩვენებლების დადგენის საფუძველი.

დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი ნაწილის „მ)“ პუნქტის განმარტების მიხედვით: „უშენი ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უმეტესად მწვანე საფარითაა დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა.“
აღნიშნულიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეული განეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ერთეულის მიმართ განვითარების ზღვრული სიმჭიდროვის მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

12. ალტერნატივები და ლიმიტაციები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იერარქიულად ქვედა დონის დოკუმენტში - გდგ-ში ალტერნატივების ასახვა არ წარმოადგენს სავლდებულობას/საჭიროებას.

ამასთან, კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ალტერნატივები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გდგ არ საჭიროებს ალტერნატივების განხილვას.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით ლიმიტირებული რჩება განაშენიანების პარამეტრები, სხვა პირობები - გამწვანების, ღობის მოწყობის და ესთეთიკური პირობები.

13. მაკომპენსირებელი ღონისძიება

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვრება ძირითადი დებულებებით დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ან/და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გადამეტების შემთხვევაში.

წინამდებარე განაშენიანების დეტალური გეგმით აღნიშნული კოეფიციენტების გადამეტება არ არის დაგეგმილი და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს დანართი №1-ის მიხედვით დადგენილ პარამეტრებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მაკომპენსირებელი ღონისძიება არ განისაზღვრება.

14. ეფექტიანობის შეფასება

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ურბანული სივრცის განვითარებას თავისუფალ მოუწესრიგებელ ტერიტორიაზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ტურისტული განთავსების ადგილების გაზრდას, ვიზიტორების თანამედროვე სტანდარტების სერვისებით დაკმაყოფილებას, სუსტი ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულის მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას, ეკონომიკის დარგების, მათ შორის ტურისტული და სამშენებლო სექტორის განვითარებას.

თანამედროვე სტანდარტების შემცველი მდგრადი გეგმარებითი ერთეულის შექმნა, ურბანული თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია. გეგმარებითი ერთეული, რომელზეც დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, მდებარეობს დაბა ჩაქვის ცენტრიდან დაახლოებით 1,5 კმ. მანძილზე. აღნიშნული ტერიტორიის განვითარება დაინტერესებული პირებისათვის სტიმულატორი იქნება დასახლებათა გარეუბნების განვითარების კუთხით, რაც მიზანშეწონილია განაშენიანებული ტერიტორიების გადატვირთვისაგან დაცვის და აუთვისებელი ტერიტორიების სწრაფი განვითარების თვალსაზრისით.

პროექტის განხორციელებით შეიქმნება ათობით დასაქმების ადგილები, როგორც უშუალოდ ობიექტის მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში, აგრეთვე მისი მომსახურების სერვისებში, შესაბამისად თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკის განვითარებაში და ზრდაში.

SWOT ანალიზი:

ძლიერი მხარეები	ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ზღვის სანაპიროსთან და გამწვანებულ ტერიტორიებთან, ასევე მთავარ მაგისტრალზე გასასვლელთან სიახლოვე. ასათვისებელი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ფონდი.
სუსტი მხარეები	მიმდებარედ არსებულიგანუვითარებელი მიწის ნაკვეთები; არასაკმარისი სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა
შესაძლებლობები	მიწის ნაკვეთების ათვისების ხარჯზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსება, ტურისტული და საცხოვრებელი ფონდის გაზრდა, ტერიტორიის მდგრადი განვითარება.
საფრთხეები	არ ფიქსირდება.

ეფექტიანობის შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

სამშენებლო პოტენციალის ($კ^1$/$კ^2$) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი

(ინფორმაცია შეიყვანოთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)

გათვლები ლარში

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გათვლების გაკეთების თარიღი	20,04,2023
მისამართი	დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი	ს/კ. 20.48.09.1000
დეველოპერული კომპანია	შპს ,,როგანტინი რეალ ესტეიტ“ (ს/ნ 445664843)
საკონტაქტო პირი	ვანო ჩიქოვანი
ტელეფონი	(+995) 577 141 215

არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები

ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები		მოთხოვნილი პარამეტრები	
$კ^1$	0,5	$კ^1$	0,5
$კ^2$	1,8	$კ^2$	1,8
$კ^3$	0,3	$კ^3$	0,3

სამშენებლო მოცულობები

მიწის ფართობი		14 247,0		
$კ^2$ საანგარიშო ფართი		25 645,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება		300,0		
მიწის ზედა სართულიანობა	2,3,4,5,7		მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა მ3	68 700,0
მიწის ქვედა სართულიანობა	1		მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა მ3	14 950,0

მშენებლობის ხარჯი

	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	27 785,0	X	დანაკარგი%
მ.მ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	5 000,0	1 300,0	18,0%
მ.მ. საცხოვრებელი ფართი კვმ	16 975,0	1 300,0	
მ.მ. კომერციული ფართი კვმ	1 550,0	1 300,0	
მ.მ. საოფისე ფართი კვმ	0,0	0,0	
მ.მ. დახურული ავტოსადგომები კვმ	4 260,0	1 300,0	
მ.მ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ	0,0	0,0	
სულ მშენებლობის ხარჯი	36 120 500,0		

ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)

ჯამური ვალდებულება გამოსახული თანხობრივად	0,0

გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება და თანხის გაანგარიშება:

შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)

	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	16 975,0	2 500,0	42 437 500,0
კომერციული ფართი	1 550,0	3 000,0	4 650 000,0
საოფისე ფართი	0,0		0,0
ავტოსადგომების რაოდენობა*	100	12 000,0	1 200 000,0
სხვა დანიშნულების ფართი	0,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	48 287 500,0		

ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ

სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	12 167 000,0
დღგ	2 190 060,0
მოგების გადასახადი	1 496 541,0
კ2 გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	55 000,0
დივიდენდი	421 270,0
მოგება გადასახადების შემდეგ	8 004 129,1

15. ზეგავლენები

15.1. ზეგავლენა გარემოზე (გარემოსდაცვითი ანგარიშის რეზიუმე)

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან სიახლოვეს. უახლოესი დაცული ტერიტორია მტირალას ეროვნული პარკი საპროექტო ტერიტორიიდან 7,2 კმ-ით არის დაშორებული. მანძილის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ იქონიებს. პროექტის განხორციელებისას ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის და ბიოლოგიური გარემოს რეცეპტორებზე. თუმცა ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება დიდი და პროექტის განხორციელება გარემოს კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით/შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს; პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არაა წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტები (უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი ჩაქვისწყალი საპროექტო ტერიტორიიდან 1 კმ-ზე მეტ მანძილში გაედინება), ხოლო გრუნტის წყლების ტერიტორიაზე გაყვანილი საინჟინრო-გეოლოგიური შურფებიდან მხოლოდ ერთში დაფიქსირდა - 6 მ. სიღრმეზე. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით და დაგეგმილი სამუშაოების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებით წარმართვის შემთხვევაში, წყლის გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების რისკები უმნიშვნელოა; პროექტის განხორციელებისას, საპროექტო ტერიტორიიდან საჭიროების შემთხვევაში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ნაცვლად დაირგვება სხვადასხვა სახეობის მცენარეულობა, რაც მცენარეულს საფარზე უარყოფითი ზემოქმედებას საგრძნობლად შეამცირებს; საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას

და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შეშფოთებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქობულეთის შემოვლით გზასთან და დაბის ურბანულ ნაწილთან, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე; საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. საპროექტო ტეროტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში). უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის საპროექტო ტერიტორიიდან 1.06 კმ-ში მდებარეობს, რაც ობიექტებზე უარყოფით ზემოქმედებას გამორიცხავს; სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მოსალოდნელია გარემოს ფონური მდგომარეობის მცირედი ცვლილება. თუმცა სამშენებლო სამუშაოების მოკლე ხანგრძლივობის და გეგმარებითი ობიექტის მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, განსახორციელებელი სამუშაოები გარემოს კომპონენტებზე შეუქცევად და მუდმივ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს;

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი), დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება. ტერიტორია არაა განთავსებული ჭარბტენიან ტერიტორიაზე;

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტის ექსპლუატაცია არ გამოიწვევს ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება.

გარემოზე მოსალოდნელი პირდაპირი და არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს შემარბილებელი ღონისძიებების მკაცრი დაცვა;

სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ახლომდებარე მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთოხებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დასკვნა: დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელება გარემოზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს;

ემისიებისგან დაცვა

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- საცხოვრებლების სიახლოვეს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს ოპტიმალური სიჩქარე;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი. მოსახლეობის მხრიდან პროტესტის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- მნიშვნელოვანი მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმომქმნელი და მიწის სამუშაოების შესრულება (გრუნტის სამუშაოებისას, მიწის ვაკისის მოწყობისას);
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების შესყიდვა/ტრანსპორტირებისას გათვალიწინებული უნდა იქნეს სიახლოვის პრინციპი;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენების დაწვის ფაქტები;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტექნიკისა და დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა გამართული ფუნქციონირებისა და ჟონვის რისკების დასადგენად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში;
- საპროექტო ტერიტორია აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ბეტონშემრევების ადგილზეგარეცხვის ფაქტები. აღნიშნულთან დაკავშირებით წინასწარ უნდა ეცნობოს ბეტონის მასალის მომმარაგებელ კომპანიას;
- ტერიტორიაზე შემოტანილი მასალები დასაწყობდება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეროზიული პროცესები;

- საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებს. ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნები;
- ტერიტორიაზე განთავსდება გადახურული ტიპის კონტეინერები, რათა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ნარჩენები გარემოში არ გავრცელდეს;

ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის მართვა უნდა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში უნდა გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურეობა და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს გეგმარებითი ობიექტის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო ზონა და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები მოქმედებდეს აღნიშნულ ზონაში;
- მუდმივად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების მიხედვით. მუდმივად უნდა გაკონტროლდეს ნაყოფიერი ნიადაგის არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები;

ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მკაცრად უნდა იყოს დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახეობების ბინადრობისთვის/ბუდობისთვის აუცილებელი ჰაბიტატების მთლიანობა;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- უნდა გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- დაცული უნდა იყოს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და შერჩეული იყოს მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეები ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;
- ისეთი სამუშაოები, რაც იწვევს ცხოველების ზედმეტად შეშფოთებას, შესაძლებლობების მიხედვით უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- სამშენებლო ტერიტორიაზე ქვეწარმავლების ან/და ამფიბიების არსებობის შემთხვევაში მოხდება მათი გაყვანა ხელსაყრელ და უსაფრთხო ადგილებში
- გათვალიწინებული უნდა იყოს ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენციული ღონისძიებები;
- ნეგატიური ზემოქმედების პრევენციის ერთ-ერთი საშუალება არის სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელება მოწყვლადი სახეობებისთვის ნაკლებად მგრძნობიარე პერიოდში;

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;
- ტერიტორიიდან მოხსნილი მცენარეული საფარის მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე;
- საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას უნდა განთავსდეს შესაბამისი რაოდენობისა და ზომის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან;
- ნარჩენებისთვის განთავსებისთვის განკუთვნილი კონტეინერებისათვის უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომლებიც ადვილი მისადგომი იქნება, როგორც დასაქმებული პერსონალისთვის, ასევე ნარჩენების შემგროვებელი სატრანსპორტო საშუალებისთვის;
- ნარჩენების გარემოში გავრცელების პრევენციის მიზნით, კონტეინერების შევსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი და აუცილებლობის შემთხვევაში მათი დაცლა განხორციელდეს დროულად;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შეძენა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის უნდა გადაეცეს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. არასახიფათო ნარჩენები შესაძლოა გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ დასუფთავების სამსახურს, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.

• დასაქმებულ უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები

• მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთოხებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
• სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დაცული იყოს ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობები;
• აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები;
• გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა დათვალიერდეს რეგულარულად. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.
• სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
• სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა პესონალმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები.
• მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო ტერიტორიაზე;
• ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
• მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტები;
• მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტები და ნორმატიული აქტები.

15.2. ზეგავლენა საგზაო მოძრაობაზე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის და აბაშიძის ქუჩების მიმდებარედ, საკვლევ საამშენებლო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 20.48.09.1000) დაგეგმილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, კომპლექსი საერთო ჯამში გათვლილია 182 მობინადრეზე (სატუმრო ნომრების ჩათვლით).

დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ავტომანქანების რაოდენობის მატების ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად მრავალბინიანი, მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარგინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევი ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევ ობიექტს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა და/ან მიწისზედა ავტოპარკინგები. სტატისტიკური მონაცემებით საშუალოდ ქობულეთის სინამდვილეში მობინადრეთა 20-25 პროცენტი წარმოადგენს ავტომფლობელს, შესაბამისად მოცემულ ობიექტს უნდა გააჩნდეს საშუალო 40 ერთეული საპარკინგე ადგილი. საკვლევი ობიექტის პროექტით, გათვალისწინებულია ავტოსადგომების მოწყობა საცხოვრებელი ბლოკების მიხედვით, ასე მაგალითად: ,,A ბლოკში'' 24 ბინაზე გათვალისწინებულია 11 მიწისქვეშა და 6 მიწისზედა ავტოსადგომი; ,,B ბლოკში'' 16 ბინაზე გათვალისწინებულია მიწისქვეშა 12 ავტოსადგომი; ,,C ბლოკში'' 12 ბინაზე გათვალისწინებულია მიწისქვეშა 12 ადგილი; ,,D ბლოკში'' 18 ბინაზე გათვალისწინებულია 13 ავტოსადგომი; ,,E ბლოკში'' 100 ნომერზე გათვალისწინებულია მიწისქვეშა 29 ავტოსადგომი; 7 ინდივიდუალური კოტეჯის მიწისქვეშ მოეწყობა 7 ავტოსადგომი; 5 ერთეულ ვილას მიწისქვეშ ექნება 10 ერთეული საპარკინგე ადგილი. ჯამში საკვლევ ობიექტზე საპარკინგე ადგილების რაოდენობა შეადგენს 100 ერთეულს, რაც სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მოცემული გეგმარებითი ერთეულის მიმდებარე ზონა თითქმის დაუსახლებელია, არსებული მოსახლება ძირითადად კერძო სახლებითა და საკუთარი ეზოებით შემოიფარგლება, რომელთაც მოწყობილი აქვთ ინდივიდუალური ავტოსადგომები, შესაბამისად ობიექტის აშენების შემთხვევაში ის ვერ შეუშლის ხელს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას. საამშენებლო პროექტში ავტომობილების მოძრაობის სქემა მკაფიოდ არის წარმოდგენილი, ობიექტის ეზოში ავტომობილების სამოძრაო არეალი იძლევა საშუალებას შეუფერხებელი გადაადგილებისათვის თითოეული ბლოკის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მოძრაობის წარმოდგენილი სქემა ხელსაყრელია საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო და სახანძრო სამაშველო ბრიგადების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის. ობიექტი შენდება რელიეფურად მთა-გორიან ადგილას, დაბა ჩაქვიდან მისასვლელად გამოიყენება მეგენეიშვილის ქუჩა, აღნიშნული ქუჩა წარმოადგენს შიგა სასოფლო გზას, გზის სავალი ნაწილი დაფარულია ბეტონის საფარით, მისი სავალი ნაწილის სიგანე შეადგენს 4,0 მეტრს. გზის გასწვრივ არ არის საფეხმავლო ტროტუარები, პერსპექტივაში შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მიერ მათი მოწყობა. მეგენეიშვილის ქუჩიდან საკვლევ ობიექტამდე 0.5 კმ-ს სიგრძის შესასვლელი მოსაწესრიგებელია, შესაძლებელია მოეწყოს 4,0 მეტრი სიგანის გზა.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ იცვლება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განხორციელება, ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გათვალისწინებით, ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.


ბანაშენიანების დეტალური გეგმა
ბანაშენიანების ნუსხა
ტრანსპორტო ინფრასტრუქტურა
ექსპლიკაცია
გეგმარებითი ერთეული
საკადასტრო საზღვარი
შენობა
დაბალი ინტენსივობის ძუჩა
ახალი ძუჩა
მოძრაობის მიმართულება
გადასასვლელი
229075
229125
229175
229225
229275
4624625
4624575
4624525
4624475
20.48.09.1000
მაშტაბი
10 0 10 20 30 40
შემსრულებელი
ქობულეთის მუნიციპალიტეტი

15.3. ზეგავლენა საცხოვრებლის საჭიროებებსა და სამუშაო ადგილებზე
დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს საცხოვრებელ და სოციალურ პირობებზე, მაცხოვრებლებს შეექმნებათ ღირსეული საცხოვრებელი გარემო, შეიქმნება სამუშაო ადგილები, რადგან საცხოვრებელ კომპლექსში განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე სხვა მომსახურების ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

15.4. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
საპროექტო ობიექტში განთავსებული იქნება საცხოვრისები, სასტუმრო ნომრები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად განავითარებს შესაბამის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ ობიექტებს, მათ შორის მომსახურების, რაც დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

15.5. ზეგავლენა საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან საინვესტიციების დაგეგმვაზე
პროექტი, რომლის განხორციელების მიზნითაც მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა, საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან ინვესტიციების დაგეგმვაზე ზეგავლენას არ ახდენს, ვინაიდან მთლიანად ხორციელდება კერძო ინვესტიციებით.

15.6. სხვა ზეგავლენები
პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი სხვა ზეგავლენები, მენაშენეს მიერ საკუთარი ხარჯებით, შესაძლო მოკლე გონივრულ ვადაში უნდა იქნას იდენტიფიცირებული, შესწავლილი და მუნიციპალიტეტთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს მათი განეიტრალებისათვის საჭირო ღონისძიებები.

16. ტერიტორიების ბალანსი
გეგმარებით ერთეულზე და მიმდებარედ განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული გარემოთი, ხოლო უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებისა და დასასვენებელი ადგილების, აგრეთვე ავტოსადგომების მოწყობით.

17. ეტაპები და რიგითობა
პროექტის განხორციელდება შემდეგი ეტაპებით და რიგითობით:
ობიექტის სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება;
ტერიტორიის მომზადება მშენებლობისათვის;
საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა;
საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;
შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა;
ტერიტორიის გამწვანება;
ტერიტორიის კეთილმოწყობა.
განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არა უგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა.

18. საჯარო და კერძო ინტერესები
საჯარო ინტერესები:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;
ტერიტორიის მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა;
ეკონომიკის დარგების განვითარების ხელშეწყობა;
კერძო ინტერესები:
გეგმარებითი ერთეულზე განთავსებული მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება;
ადამიანისათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს და პირობების შექმნა;
ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
ეკონომიკური საქმიანობის განვითარება;
სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება

გეგმარებითი ერთულის დაგეგმარებასთან დაკავშირებით, განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა/გამოკითხვა, შედგა საჯარო შეხვედრები, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელთა შედეგების ანალიზის შედეგად მოხდა საჯარო და კერძო ინტერესების შეწონვა-შეჯერება. კვლევა ცხადყოფს, რომ დაგეგმილი მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე დაბის მოსახლეობაში, მოქალაქეთა უმრავლესობა მიესალმება საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას და ცარიელ ტერიტორიებზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას, რაც შემგომში გაზრდის ტერიტორიის პრესტიჟს, განავითარებს მუნიციპალურ და არა მხოლოდ მუნიციპალურ სერვისებს, შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტ სამუშაო ადგილს, ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციოდ, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე. უშუალოდ სამშენებლო ტერიტორიებზე არ არსებობს არანაირი ინფრასტრუქტურა შენობა-ნაგებობების სახით, თანამედროვე ინფრასტრუქტურა კი შესძენს ტერიტორიას ახალ სიცოცხლეს და გააჯანსაღებს მიმდებარე ტერიტორიას. საჯარო შეხვედრაზე დამსწრეთა აბოლუტური უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი პროექტის განხორციელებისადმი, რადგან ის ხელს უწყობს თავისუფლი მიწის ნაკვეთის განვითარებას, როგორც ურბანულად ასევე რეკრეაციულად, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, თანამედროვე შენობების განთავსებას, ტურიზმის განვითარებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნას, პროექტის განხორციელების პერიოდში და შემდგომ შეიქმნება დასაქმების ადგილები. მოქალაქეების მოსაზრებით, მშენებლობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის დანაგვიანებისაგან და სამშენებლო მტვრისაგან მიმდებარე ტერიტორიის დაცვას, საცხოვრებელი კომპლექსი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა დადგენილ წესს და ნორმას, ასევე კომპანიამ სამუშაოებისას უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა წესი, ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ისეთი საზოგადოებრივი ობიექტები, რომლების სამომავლოდ არ გამოიწვევენ ხმაურს. პროექტის მიმდინარეობისას და ექპლუატაციაში მიღების შემდგომ, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს დასაქმების საშუალება. მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს მწვანე ადგილები, დასასვენებელი სივრცე, პარკინგი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების პროცესში მოხდა სამუშაო შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელზეც შეჯერდა საჯარო და კერძო ინტერესები. ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მაქსიმალურად უნდა იქნას თავისუფალი, ქალაქმგეგმარეითი თვალსაზრისით მოუწესრიგებელი სუსტი ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიების ათვისება და განვითარება ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების საფუძველზე. მათი პირობებია: დაცული იქნას გარემოსდაცვითი ნორმები, პროექტის დაგეგმარებისას გათვალისწინებული იქნას საზოგადოების მოსაზრებები, გამწვანებული ადგილების და ინფრასტრუქტურის საკითხი.
გეგმარებითი ერთეულის საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება აისახა კვლევის ანალიზში და საჯარო განხილვის ოქმში.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე საინფორმაციო დაფის განთავსების ფოტო



19. საბაზისო რუკა



2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი

- განაშენიანების გეგმით გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას.
- ფუნქციურ ზონა: საცხოვრებელი ზონა (სზ).
- ფუნქციურ ქვეზონა: საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3).
- განაშენიანების პარამეტრები:

გეგმარებით ერთეულში შემავალი მიწის ნაკვეთისათვის საკადასტრო კოდით: 20.48.09.1000:

ფუნქციური ზონები					
სამშენებლო ზონები	**სამშენებლო ქვეზონები**	**კ-1**	**კ-2**	**კ-3**	**განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)**
საცხოვრებელი ზონა (სზ)	საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3)	0.5	1,8	0,3	40

განაშენიანების რეგულირების ძირთადი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება შესაძლებელია მოქმედი კანონომდებლობის შესაბამისად.

- განაშენიანების სიმაღლის მაქსიმალური მაჩვენებელი: 40 მ.
- განაშენიანების სახეობა: ღია.
- მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გამოყენების ნებადართული სახეობები:
  ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
  ბ) საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
  გ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
  დ) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური);
  ე) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის დასახლებას;
  ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
  ზ) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
  თ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
  ი) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
  კ) სასტუმრო;
  ლ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
  მ) ადმინისტრაციული ობიექტი;
  ნ) ოფისი;
  ო) ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.
  საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
  ა) მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
  ბ) სავაჭრო ცენტრი;
  გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
- განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელ ხაზები): წითელი ხაზი გავლებულია საკადასტრო საზღვარზე.
- განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები): ლურჯი ხაზი კომპოზიციური გადაწყვეტის სირთულიდან გამომდინარე და ირგვლივ ჩამოუყალიბებელი განაშენიანების გამო არ განისაზღვრება.
- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა: 100 ავტოსადგომი.
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი: 250 კვ.მ.
- მიწის ნაკვეთის შემოღობვის პირობები:
  მიწის ნაკვეთი ისე უნდა იქნეს შემოღობილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განათებულობის, განიავების, დასახლების იერსახის ესთეტიური ხარისხის შენარჩუნება და სხვა საჯარო ინტერესების დაცვა.
  მიწის ნაკვეთის შემოღობვა შესაძლებელია:
  ა) მიწის ნაკვეთის საზღვრებში ან საზღვრის პირზე;
  ბ) მიწის ნაკვეთის საზღვრებზე (საზიარო საზღვარი).

ღობის მაქსიმალური სიმაღლეები

ეზოები	სიმაღლე
უკანა ეზო (საჭიროების შემთხვევაში)	1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო მიწის ნაკვეთის მხარეს (საჭიროების შემთხვევაში)	1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო წინა ეზოს ნაწილში (საჭიროების შემთხვევაში) ყრუ ღობე ან ღობის ნაწილი გამჭვირვალე ლითონის გისოსებიანი ღობე	 0.8 მეტრამდე 1.8 მეტრამდე

• გამწვანების პირობები:
გეგმარებით ერთეულზე, დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.
დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან/და მათი შენარჩუნების პირობით.

• ესთეტიკურ პარამეტრები:
საინჟინრო ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა განხორციელდეს არსებულ მიწისქვეშა არხებში-ღარებში ან/და გვირაბებში. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა ან/და შეუძლებელია ამ ინფრასტრუქტურის გამოყენება, მაშინ აღნიშნული უნდა განხორციელდეს ახალი ტრანშეების მოწყობით.
სარეცხის საშრობ-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/ დანადგარები უნდა განთავსდეს შენობის შიგნით. სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შემოსვა/შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარე ფასადებთან ერთად ერთიან სისტემას უნდა ქმნიდეს. არ არის რეკომენდირებული ასეთი მოწყობილობა/დანადგარების საზოგადოებრივი სივრცის მხარეს განთავსება.
ანტენები (სატელიტური, სატელევიზიო და სხვა) უნდა განთავსდეს სახურავზე. ტექნიკური აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია მათი განთავსება შენობის ფასადზე, გარდა ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადისა.

სხვა პირობები

ყველა სხვა პირობა, რომლებიც ამ გეგმით არის დადგენილი, გამოიყენება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მიხედვით.

2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი

2.6.1. დაგეგმილი ცვლილებების ანოტაცია:

- დაგეგმილი პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 20.48.09.1000, უნდა განთავსდეს საცხოვრებელი კომპლექსი. ვინაიდან გეგმარებითი ერთეულის მიმართ არ არის შემუშავებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია, აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას.

• დაგეგმილი განაშენიანება:
○სტრუქტურა/წყობა - ღია, კვარტალური წყობა.
• ტექნიკურ-ეკონომიკური სავარაუდო მაჩვენებლები
• დაგეგმილი ცვლილებები ციფრებში:

- განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) შეადგენს 0,5-ს;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) შეადგენს 1,8-ს.
- გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) შეადგენს 0,3-ს.

საპროექტო ობიექტის სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლების აუცილებელი ელემენტები:
• ფართობები:
o საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 14247.00 კვ.მ.
o სამშენებლო ქვეზონები - საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3);
o გამწვანებული და სხვა არასამშენებლო ტერიტორიები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული;
o დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
▪ საცხოვრებელი (ცალ-ცალკე: ბინა, სასტუმროს ტიპის ბინა, სასტუმროს ნოემრი) – 82 საცხოვრებელი ბინა-ერთეული, 8975,00 კვ.მ. 100 სასტუმრო ნომერი, 8000,00 კვ.მ.
▪ კომერციული (ცალ-ცალკე: სავაჭრო, საოფისე) – კაფე - 400კვ.მ; რესტორანი - 350კვ.მ; კომერციული - 400 კვ.მ; ფიტნეს კლუბი - 250კვ.მ; საკონფერეციო სივრცე - 150კვ.მ;
▪ დამხმარე (ცალ-ცალკე: ავტოსადგომი, სარდაფი, საწყობი, ტექნიკური სათავსები და მსგ.) - დახურული მიწისქვეშა 94 ავტოსადგომი (4260,00 კვ.მ.) და 6 მიწისზედა ავტოსადგომი, სულ 100 ავტოსადგომი.
• მოცულობები:
o დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
• შენობები - 84000 კუბ.მ.
• სიმაღლეები/სართულიანობა:
○დაგეგმილი განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ) – 40 მ.
○სართული - 2,3,4,5,11 (მიწისქვეშა სართულის გამოკლებით).
o დაგეგმილი განაშენიანება, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში):
▪ მიწისქვეშა სართულები - 1 სართული;
▪ მიწისზედა სართულები - 2,3,4,5,11 სართული;

2.6.2. სიტუაციური რუკა



2.6.3. საზღვრების რუკა

2.6.4. გეგმარებითი შეზღუდვების (სინთეზური) რუკა

გეგმარებითი ერთეულის მიმართ შეზღუდვები არ ფიქსირდება

2.6.5. გენერალური გეგმა

2.6.6. ტერიტორიის მიჯნის ზონების გეგმა

2.6.7. მიწის ნაკვეთის შესაძლო დაყოფის სქემა



2.6.8. განაშენიანების ჭრილ(ებ)ი



2.6.9. განაშენიანების ვიზუალიზაცია

განაშენიანების დეტალური გეგმა
განაშენიანების ესკიზი
ქალაქი, ოჩამჩირე, ფიროსმანის, ქუჩის მიმდებარე
ნან 20.48.09.1001.
ბინისანაგებობის პარამეტრები ნან 20.48.09.1002.

ვიზუალიზაცია

შემსრულებელი
შპს რობანტინი რეალ ესტეიტ
კერძო ინიციატივის საფუძველზე

ქოგულეთის მუნიციპალიტეტი

2.7. ინიციატივის გადაწყვეტილება, საკადასტრო მონაცემები და მიმწოდებლის რეკვიზიტები

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება№114. 1142308110
თარიღი:22/03/2023

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ.20.48.09.169; ს.კ.20.48.09.571 და ს.კ.20.48.09.388) **განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 02 ნოემბრის N10/114220666-114 და 2023 წლის 06 მარტის N10/1142306318-114 განცხადებებით მომართა შპს „როგანტინი რეალ ესტეიტ"-ის (ს.ნ. 445664843) დირექტორმა არცია სარანტიდისმა და წარმოდგენილი საწყის მონაცემების საფუძველზე მოითხოვა დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ.20.48.09.169; ს.კ.20.48.09.571 და ს.კ.20.48.09.388) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციატივის განხილვა. როგორც წარმოდგენილი ინიცირების საფუძველი დოკუმენტაციის განხილვით ირკვევა, ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, ხოლო დაგეგმვის საჭიროება გამომდინარეობს ზონალური ერთეულის დადგენით.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ სავარაუდო გეგმარებით ერთეულზე ინიცირების მომენტისთვის არ ვრცელდება დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე რეჟიმი/რეგლამენტი, აგრეთვე, სავარაუდო გეგმარებით ერთეულზე ან მის მიმდებარედ მუნიციპალიტეტს/სახელმწიფოს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ქალაქთმშენებლობითი ღონისძიება და/ან მსხვილი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" საქართველოს კანონის IV თავის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონის 41-ე, 43-ე და 47 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ინიცირებულ იქნას დაბა ჩაქვში, აბაშიძისა და მეგენეიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ის (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ.20.48.09.169; ს.კ.20.48.09.571 და ს.კ.20.48.09.388) გათვალისწინებით, დაზუსტებულ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და დამტკიცდეს თანდართული დავალება გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით;

2. დაევალოს მერიის არქიტექტურულ სამსახურს:

   2.1. ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში მოამზადოს და გააფორმოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება ინიციატორთან, გეგმის შემუშავების თაობაზე, რომლის განუყოფელი ნაწილია ამ ბრძანების თანდართული <u>დავალება გეგმის შემუშავებასთან</u>

<u>დაკავშირებით</u>;

   2.2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია (მათ მორის, გეგმარებითი არეალის ზუსტი საზღვრების შესახებ ინფორმაცია) გამოაქვეყნოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 თვისა.

3. ეთხოვოს გეგმის შემუშავების ინიციატივის ავტორს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე ინფორმაცია საინფორმაციო დაფაზე მან უნდა განათავსოს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

4. განემარტოს გეგმის შემუშავების ინიციატორის ავტორს, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიისთვის აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწის ნაკვეთების (ს.კ. 20.48.05.051; ს.კ. 20.48.05.052; ს.კ. 20.48.05.351; ს.კ.20.48.09.169; ს.კ.20.48.09.571 და ს.კ.20.48.09.388) გაერთიანება ერთ საკადასტრო ერთეულად და გაერთიანებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება და მისი გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.

5. განემარტოს გეგმის შემუშავების ინიციატორს, რომ წინამდებარე ბრძანება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 მარტის №114.1142306014 ბრძანება.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ნაწილ.(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 20.48.09.1000**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023261657 - 24/03/2023 13:05:13

მომზადების თარიღი
29/03/2023 13:08:41

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქობულეთი	დ/ჩაქვი		
20	**48**	**09**	**1000**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 14247.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **20.48.05.051; 20.48.05.351; 20.48.05.052; 20.48.09.169; 20.48.09.571; 20.48.09.388;**

მისამართი: ქობულეთი , დაბა ჩაქვი , ქუჩა მეგენეიშვილის , მიმლებარედ ; ქუჩა აბაშიძე , მიმლებარედ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022827753 , თარიღი 11/11/2022 11:16:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/11/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/11/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/11/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ნიეთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწშების თარიღი:07/02/2023 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი:11/11/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ნიეთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწშების თარიღი:07/02/2023 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/11/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული ს�ააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "როგანტინი რეალ ესტეიტ" , ID ნომერი:445664843

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "როგანტინი რეალ ესტეიტ"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

საკადასტრო გეგმა

საკადასტრო კოდი:	20.48.09.1000	ნაკვეთის დანიშნულება:	სასოფლო-სამეურნეო
განცხადების ნომერი:	882023261657	ფართობი:	14254 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N) 14247 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)
მომზადების თარიღი:	29/03/2023		



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22121282, 28/09/2022 16:54:14

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს როგანტინი რეალ ესტეიტ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	445664843
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/09/2022
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, N 1, სართული 13, ბინა N 147

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი

  არცია სარანტიდის, K00507550 /კვიპროსი/ ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ვანო ჩიქოვანი, 61003000932	51	51%	
ალესსანდრო როგანტინი, X3556018 /შვეიცარია/	49	49%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება მესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეიტანეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

2.8. სამართლებრივი საფუძვლები

გდგ-ს შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნები:
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი;
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ ;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს N 1–1/1743 ბრძანება „დაპროექტების ნორმების – ,,სამშენებლო კლიმატოლოგია” – დამტკიცების შესახებ“;
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის N 1–1/2284 ბრძანება „სამშენებლო ნორმების და წესების ,,სეისმომედეგი მშენებლობა” (Თნ 01.01-09) _ დამტკიცების შესახებ“.
„ქალაქ ქობულეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №11 დადგენილება.
ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმის მოთხოვნები;
ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმის მოთხოვნები.

2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია

პერსონალი	სახელი, გვარი, პროფესია	პოზიცია	კვალიფიკაცია/კომპეტენცია და გამოცდილება	რეფერენსი
პროექტის მართვის სპეციალისტი	სულხან მამუჭაძე - არქიტექტორი, იურისტი	საერთო ხელმძღვანელი / კოორდინატორი	• *მაგისტრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების / პროექტების მართვის განხრით;* • *3-წლიანი გამოცდილება დაგეგმვის პროექტების მართვაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
სივრცითი დაგეგმვის სპეციალისტი / მიწათსარგებლობის დაგეგმვის სპეციალისტი	ზვიად ბურჭულაძე-არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;	დაგეგმვის ხელმძღვანელი	• *მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით.* • *3-წლიანი გამოცდილებით დაგეგმვაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ქალაქმგეგმარებელი / ურბანისტი	ზვიად ბურჭულაძე-არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;	დაგეგმარების ხელმძღვანელი	• *მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით.* • *3-წლიანი პროფესიული გამოცდილება დაგეგმარებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
სოციოლოგი	ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი	წამყვანი სპეციალისტი	• *მაგისტრის ხარისხი სოციოლოგიის განხრით;* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
საინჟინრო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი; სერგო ჭყონია- ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტეკნიკა სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი; ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი სამოქალაქო ან საინჟინრო ინფრასტრუქტურის განხრით და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ინფრასტრუქტურულ ინჟინერიაში.* • *2-წლიანი გამოცდილება დასახლებებში საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაპროექტებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი სატრანსპორტო დაგეგმვაში ან სატრანსპორტო ინჟინერიაში, საგზაო მოძრაობის ან ტრანსპორტის მართვის მიმართულებით.* • *2-წლიანი გამოცდილებით დასახლებებში საგზაო მოძრაობის (რე)ორგანიზების სქემის შემუშავებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ეკოლოგიის სპეციალისტი/ ეკოსისტემების მართვის სპეციალისტი	გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი ეკოლოგიაში ან ეკოსისტემების მართვაში, ან გარემოს დაცვის საკითხებში;* • *2-წლიანი გამოცდილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების (სგშ) და/ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებების (გზშ) წარმოებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სპეციალისტი	სერგო ჭყონია- ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტეკნიკა სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი;	წამყვანი სპეციალისტი	• *ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე გის სპეციალისტი;* • *GIS პროგრამული უზრუნველყოფის (§**Error! Reference source not found.**) სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
არქიტექტორი	ზვიად ბურჭულაძე- არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი არქიტექტურაში.* • *ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
კარტოგრაფი	ვაჟა წიკლაური - ტოპოგრაფი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი კარტოგრაფიაში და/ან გეოგრაფიაში.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ტოპოგრაფი / გეოდეზისტი	ვაჟა წიკლაური - ტოპოგრაფი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი გეოდეზიაში და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ტოპოგრაფიაში.* • *ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება ტოპოგრაფიული რუკების/გეგმების შედგენაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
რედაქტორი	მაია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ინგლისურ ენაში, კომუნიკაციებში ან ჟურნალისტიკაში.* • *1-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.

2.10. გამოყენებული დოკუმენტები

ნორმატიული	შინაარსი	წყარო
კონსტიტუციური კანონი	საქართველოს კონსტიტუცია	
ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	
კანონი	**საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი**	
კანონი	გარემოს დაცვის შესახებ	
კანონი	კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	
კანონი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	
კანონი	წყლის შესახებ	
კანონი	ტყის კოდექსი	
კანონი	საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ	
კანონი	საზღვაო კოდექსი	
კანონი	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	
კანონი	საავტომობილო გზების შესახებ	
კანონი	საგზაო მოძრაობის შესახებ	
კანონი	საქართველოს სარკინიგზო კოდექსი	
კანონი	სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	
კანონი	ტურიზმისა და კურორტების შესახებ	
კანონი	კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ	
კანონი	ნარჩენების მართვის კოდექსი	
კანონი	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	
კანონი	სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ	
პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი	
მთავრობის დადგენილება	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ	
მთავრობის დადგენილება	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	
მთავრობის დადგენილება	მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ	
მთავრობის დადგენილება	წყალდაცვითი ზოლის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სამშენებლო კლიმატოლოგია	
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სეისმომედეგი მშენებლობა	

3. დანართები

შ.პ.ს
„TUSKI GEOLOGY GROUP”

დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის ქუჩის მიმდებარედ 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობები.

ქ. ბათუმი 2023

სარჩევი

გვ.

1. შესავალი ----------
2. სამუშაოთა წარმოების რაიონის ბუნებრივი პირობები ----------
3. საკვლევი ტერიტორიის გეოტექნიკური პირობები ----------
4. დასკვნები და რეკომენდაციები ----------

დანართები

1.1 საკვლევი ტერიტორიის 1:500 მასშტაბის ტოპოგრაფიული გეგმა ----------
1.2 ჭაბურღილების ლითოლოგიურ-გეოლოგიური სვეტები ----------
1.3 საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები ----------
1.4 პირობითი ნიშნები ----------
1.4 ფოტოდოკუმენტაცია ----------

ტექსტური დანართები

2.1 ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ----------

დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის ქუჩის მიმდებარედ 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობები.

1. შესავალი

შ.პ.ს. „როგანტინი ქონსტრაქშონ”-ის დაკვეთით 2023 წლის აპრილში, შ.პ.ს. „TUSKI GEOLOGY GROUP”-ის მიერ ჩატარდა, დაბა ჩაქვში, მეგენეიშვილის ქუჩის მიმდებარედ 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს შეადგენდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური აგებულების შესწავლა და საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

დამკვეთის მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალებისა და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის (სნ და წ 1.02.07-87) მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა კონკრეტული უბნისათვის – მუშა პროექტის (სამუშაო დოკუმენტაცია) სტადიისათვის, შემდეგი მოცულობით:

მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, მისი კონტურის ფარგლებში, გაიბურღა 3 ჭაბურღილი სიღრმით: №1 ჭაბურღილი 16.0 მ. №2 – 19.0 მ. №3 – 15.0 მ, სულ შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა შეადგენს 50.0 გრძ. მ-ს.

ბურღვა მიმდინარეობდა თვითმავალი საბურღი დაზგით УРБ-2А-2, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, მოკლე რეისებით, მშრალად, კერნის უწყვეტი ამოღებით, დიამეტრით 114 მმ-მდე.

ბურღვის პროცესში, ჭაბურღილების კერნიდან ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იქნა გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში და წყლის 1 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები შესრულდა სსიპ. გ. წულუკიძის სამეცნიერო ცენტრის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში.

საგამოკვლევო ჭაბურღილები გეოლოგის მიერ დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემულ 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმაზე.

2. სამუშაოს წარმოების რაიონის ბუნებრივი პირობები

კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია იმყოფება საშუალოდ თბილ და ტენიანი კლიმატის ზონაში, საკმაო რაოდენობის ნალექებით წლის ყოველ სეზონში. ტერიტორია ცხელი ზაფხულით ხასიათდება. მცენარეთა ვეგეტაცია არ ჩერდება ზამთარშიც. ტერიტორია შედის ჭარბტენიან ქვეზონაში, კარგად გამოხატული ქარებით ზღვიდან მთელი წლის განმავლობაში და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულში და შემოდგომაზე.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მონაცემები მოცემული რაიონის კლიმატური პირობების შესახებ სნ და წ („სამშენებლო კლიმატოლოგია”, პნ 01.05-08):

1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ემპერატურე ..... -8^0 ჩ;
2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ემპერატურე ..... $+40^0$ ჩ;
3. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) . 79%;
4. ნალექების რაოდენობა წელიწადში ..... 2685 მმ;
5. ჰაერის საშუალო წლიური ემპერატურე ..... $+14,4^0$ ჩ;
6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში ..... 231 მმ;
7. თოვლის საფარის წონა ..... 0,5 კპა;
8. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში ..... 1316 მმ;
9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 10
10. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:
    - 5 წელიწადში ერთხელ ..... 0,30 კპა;
    - 20 წელიწადში ერთხელ ..... 0,38 კპა;
11. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი:
    - წელიწადში ერთხელ ..... 17 მ/წმ;
    - 5 წელიწადში ერთხელ ..... 22 მ/წმ;
    - 10 წელიწადში ერთხელ ..... 24 მ/წმ;
    - 15 წელიწადში ერთხელ ..... 25 მ/წმ;
    - 20 წელიწადში ერთხელ ..... 26 მ/წმ;
12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ..... 0 სმ.

3. საკვლევი ტერიტორიის გეოტექნიკური პირობები

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს დენუდაციური ტიპის გორაკ-ბორცვიან რელიეფს და ძირითადად აგებულია დელუვიური თიხოვანი გენეზისის გრუნტებით. შუა ეოცენის (ჭიდილის) წყება P^2_2CO ვულკანოგენური ქანებით, ძირითადი კლდოვანი გრუნტებით.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია საგამოკვლევო ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლო უბნის გრძივი გეოლოგიური ჭრილი, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნას.

როგორც წარმოდგენილი გეოლოგიური ჭრილებიდან და ჭაბურღილის სვეტებიდან ჩანს, სამშენებლო უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ დელუვიური გენეზისის თიხოვანი და კლდოვანი გრუნტები.

ფენა 2-ის თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის, სიმძლავრე 6.7-13.2 მ-ის ფარგლებშია და გავრცელებულია უბნის მთელ ტერიტორიაზე.

ფენა 3-ის გამოუფიტავი საღი ანდეზიტები, სიმძლავრე 1.0-2.5 მ-ის ფარგლებშია.

ფენა 4-ის გამოუფიტავი ტუფობრექჩიები. სიმძლავრე 5.0-8.0 მ-ის ფარგლებშია.

ყველა ეს გრუნტი ზემოდან გადაფარულია ნიადაგის ფენით, სიმძლავრე – 0.4 მ-ის ფარგლებშია, მშენებლობის პროცესში მოიხსნება და სგედ არ განიხილება.

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: წყლის შემოდენა დაფიქსირდა №1 ჭაბურღილში.

ჩატარებული საველე სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით სამშენებლო უბნის ამგები გრუნტების ფენებში გამოიყოფა 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე – თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);

II სგე – გამოუფიტავი სარი ანდეზიტები (ფენა 3);

III სგე – გამოფიტული ტუფობრექჩიები (ფენა 4);

4. დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთადნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

2. უბნის ამგები გრუნტების ფენაში გამოიყოფა 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე – თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის (ფენა 2);

II სგე – გამოუფიტავი საღი ანდეზიტები (ფენა 3);

III სგე – გამოფიტული ტუფობრექჩიები (ფენა 4);

3. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების (სგე) საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მოცემული ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, აგრეთვე ნორმატიული დოკუმენტის სნ და წ 2.02.01-83 დანართი 2; ცხრილი 1 და 3; დანართი 3 და საცნობარო ლიტერატურის („დამპროექტემბლის საანგარიშო თეორიული ცნობარი”) და ფონდური მასალების გამოყენებით:

№	გრუნტის მახასიათებლები		I სგე ფენა 2	III სგე ფენა 4
1	ხვედრითი შეჭიდულობა, $C_{კპა}$;	ნორმატიული მნიშვნელობა, $C^{ნ}$	22	49
		II ზღვრული მნიშვნელობა, C_{II}	22	49
		I ზღვრული მნიშვნელობა, C_{I}	15	33
2	შიგა ხახუნის კუთხე φ°	ნორმატიული მნიშვნელობა $φ^{ნ}$	20	18
		II ზღვრული მნიშვნელობა, $φ_{II}$	20	18
		I ზღვრული მნიშვნელობა, $φ_{I}$	18	26
3	სიმკვრივე $ρ^{ნ}$ გ/სმ³		1.66	1.79
4	დეფორმაციის მოდული, E მპა		6.7	26.9
5	დენადობის მაჩვენებელი I_L		0.63	0.33
6	საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა		150	200
7	საგების კოეფიციენტი, k კგძ/სმ³		1.5	2.0

შენიშვნა: *1. სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია სნ და წ 2.02.01-83 §2.16 მოთხოვნების გათვალისწინებით.*

გამოუფიტავი საღი ანდეზიტების საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები:

II სგე – გამოუფიტავი საღი ანდეზიტები (ფენა 3);

– სიმკვრივე $ρ^{ნ}$=2.41 გ/სმ³,

– სიმტკიცე კუმშვისას R_c=25.7 მპა (ოთახის ტემპერატურაზე) და 33.6 (წყალნაჯერ მდგომარეობაში).

– წყალში დარბილების კოეფიციენტის მიხედვით K_{sof}=21.3 (K_{sof}←75), დარბილებადია.

4. გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების თანახმად, ის არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს ნებისმიერი მარკის ბეტონის მიმართ, ხოლო სუსტად აგრესიულია ლითონთან მიმართებაში, მისი წყალში პერიოდულად ყოფნის დროს.

5. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით დაბა ჩაქვი მიეკუთვნება 7 ბალიანი სეისმურობის ზონას (სნ და წ „სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01.09).

თავისი სეისმური თვისებების მიხედვით საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან: გამოფიტული ტუფობრექჩიები (ფენა 4) – II კატეგორიას, ხოლო ფენა 2 თიხოვანი გრუნტები – III კატეგორიას. რადგანაც გრუნტის ათმეტრიანი შრის (დაგეგმარების წერტილიდან) ფარგლებში არახელსაყრელი გრუნტების სისქე 5 მ-ზე მეტია, ამიტომ უბნის ბალიანობა შეიცვლება და განისაზღვრება 8 ბალით.

6. ქვაბულის ფერდობის მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნას სნ და წ 3.02.01-87-ის §3.11; 3.12; 3.15 და სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

7. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სამშენებლო ნორმები და წესები IV-2-82-ის ცხრილი 1 თანახმად მიეკუთვნებიან:

– თიხოვანი გრუნტები (ფენა 2; 4) – ყველა სახის დამუშავებისას – I ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1700 კგ/მ³ (ვუთანაბრებთ რიგითი №33 „ბ”);

– გამოუფიტავი საღი ანდეზიტები (ფენა 3) – ყველა სახის დამუშავებისას – VII ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2600 კგ/მ³ (ვუთანაბრებთ რიგითი №19);

შ შ.პ.ს. „TUSKI GEOLOGY GROUP”-ის
დირექტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი,
გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ტ. ტუსკია**

ინჟინერ გეოლოგი **რ. შანთაძე**

ᲗᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲤᲘ



ᲒᲝᲚᲤᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲚᲘ.



ᲛᲝᲠᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ.

ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲚᲐᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲘᲗ.

ᲐᲜᲗᲠᲝᲞᲝᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲠᲣᲢᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ.



ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ.

ᲗᲔᲛᲐ ᲐᲠᲣᲜᲩᲐ

ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ:
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ:
ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ (ᲛᲛ) – 114
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (ᲛᲛ) - 89
ᲑᲝᲠᲯᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (Მ) – 90.0
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲑᲘ
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ:
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ:
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲠᲣᲢᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲠᲣᲢᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲠᲣᲢᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲠᲣᲢᲘᲡᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (Მ)
ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ (Მ)
ᲒᲝᲚᲤᲡᲐᲮᲚ

დაწყების თარიღი:2023 დამთავრების თარიღი:	საცავი მილის დიამეტრი (მმ) – 114	ჭაბურღილი № 2
ბურღვის მეთოდი: სვეტური შემსრულებელი: შპს „TGG" საბურღი დანადგარი: ბურღვის ოსტატი:	ბურღვის დიამეტრი (მმ) - 89	სიმაღლე ზღვის დონიდან პირობითი (მ) – 88.0

ფენის ნომერი	ფენის ძირის სიღრმე (მ)	ფენის ძირის აბსოლუტური (პირობითი) ნიშანული (მ)	ფენის სიმაღლე (მ)	ბრუნტის ნიმუშების აღების სიღრმე (მ)	ბრუნტის წყლების დონე		ლითოლოგიური სიმბოლო (ფრიული)	შრის აღწერა
					ბამოჩნა (მ)	დაფსარგა (მ)		
1	2	3	4	5	6	7	8	9
